1968

ეროვნული ბიბლიოთეკა

7
1968



# პიონერი




ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ფესტივალები მსოფლიოს მთელი ახალგაზრდობის ერთმანეთთან დაახლოების, სოლიდარობისა და გაცნობის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა.

ფესტივალების ჩატარებას ჯერ კიდევ 1947 წელს, პრაღაში მიეცა დასაბამი, სადაც გაიმართა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა პირველი მსოფლიო ფესტივალი, რომლის დევიზიც იყო: „მშვიდობა და მეგობრობა". წლეულს, 28 ივლისს, ახალგაზრდობის წარგზავნილები შეიკრიბებიან ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში, სადაც გაიმართება ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX მსოფლიო ფესტივალი დევიზით:—„სოლიდარობის, მეგობრობისა და მშვიდობისათვის".

ესოდენ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიების სრულყოფილად ჩასატარებლად ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX მსოფლიო ფესტივალის საერთაშორისო მოსამზადებელმა კომიტეტმა შეიმუშავა მიმართვა და ფესტივალის საერთო პროგრამა, რომელშიც ნათლად არის ასახული ფესტივალის დანიშნულება და იმ ღონისძიებათა ხასიათი, რომლებიც ფესტივალის დღეებში განხორციელდება.

„ჭაბუკებო და ქალიშვილებო!

მოგიწოდებთ, ფესტივალი მარტო მშვიდობისა და მეგობრობის გამოვლინებად კი არ გადავაქციოთ, არამედ მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობის აქტიური სოლიდარობის გამოხატულებად"—ნათქვამია მიმართვაში.

ფესტივალზე გაიმართება ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლ ვიეტნამელ ხალხთან და ახალგაზრდობასთან სოლიდარობის დღე; მოეწყობა ახალგაზრდა ვიეტნამელებსა და ამერიკელებთან შეხვედრები; მათ სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციები ოფიციალურად გადასცემენ საჩუქრებს.

იმ სახელმწიფოების ახალგაზრდებთან, რომლებიც ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის იბრძვიან, ახალგაზრდო-

# სოლიდარობის მეგობრობის მშვიდობის

ბის სოლიდარობის დღე ჩატარდება. გათვალისწინებულია ჩატარდეს სოლიდარობის დღე არაბული ქვეყნების ხალხებთან, აგრეთვე იმ ხალხებთან, რომლებზეც გავლენას ახდენს პორტუგალიის კოლონიალური ბატონობა, რასიზმი და აპარტეიდის პოლიტიკა, ასევე—კუბისა და სხვა ლათინური ამერიკის ხალხებთან, საბერძნეთის, ესპანეთის, პორტუგალიის წარგზავნილებთან, ამერიკის შეერთებული შტატების ახალგაზრდობის მოწინავე წარმომადგენლებთან. ჩატარდება მსოფლიოს ხალხების რევოლუციური, პატრიოტული და ეროვნული ტრადიციების ამსახველი მხატვრული წარმოდგენები, პოლიტიკური თემატიკის სიმღერების ფესტივალი და დიდი კონკურსი; მოეწყობა მშვიდობისათვის ბრძოლისადმი მიძღვნილი მანიფესტაცია; გაიმართება ახალგაზრდობის საერთაშორისო კარნავალი; მოეწყობა საერთაშორისო პოლიტიკის ფორუმი, რომელიც იმსჯელებს მშვიდობის შენარჩუნებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის ახალგაზრდობის ბრძოლის საკითხებზე; ჩატარდება კონფერენცია ახალგაზრდობის პოლიტიკური, ეკონომიური, საზოგადოებრივი და კულტურული უფლებების თაობაზე; მოეწყობა საუბრები თემაზე: „საერთაშორისო თანამშრომლობა და ახალგაზრდობის საერთაშორისო სოლიდარობა“.

ჩატარდება სემინარები თანამედროვე პოლიტიკის აქტუალური საკითხების გარშემო. გაიმართება დისკუსიები თანამედროვე მეცნიერების განვითარების ძირითად მომენტებზე. გათვალისწინებულია პარლამენტარებისა და ადგილობრივ ორგანოთა დეპუტატების, ახალგაზრდა ჟურნალისტების, მწერლების, ახალგაზრდა პროფკავშირული მუშაკების შეხვედრები; მოეწყობა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მუშაკთა და პედაგოგთა შეხვედრები; ერთმანეთს შეხვდებიან კინომოყვარულები, ავიამოდელისტები, რადიომოყვარულები, მხატვრული თვითმოქმედების თაყვანისმცემლები და ა. შ. სტუდენტთათვის ჩატარდება საუბრები თემაზე: „უნივერსიტეტი და სწავლება“. გათვალისწინებულია, აგრეთვე, სემინარების მოწყობა ეკონომიკისა და კულტურის სხვადასხვა საკითხზე, კერძოდ, თანამედროვე კულტურის განვითარებაში თეატრისა და კინოს როლზე, მოეწყობა მხატვრული კონკურსები. ჩატარდება კინოფილმების ფესტივალი, გამოფენები, სპექტაკლები, კონცერტები; ჩატარდება საბავშვო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა საერთაშორისო სემინარი და საბავშვო მწერალთა საერთაშორისო კონფერენცია დევიზით: „საბავშვო ლიტერატურაში ჰუმანიზმის შესახებ“.

ფესტივალის საერთაშორისო მოსამზადებელმა კომიტეტმა ფართო სპორტული პროგრამაც შეიმუშავა. ამ პროგრამაში ვაჟებისათვის სპორტის 15 სახეობაა შეტანილი, ქალიშვილებისათვის კი—9 სახეობა.

მძლეოსნობა, ცურვა, წყალში ხტომა, სპორტული და მხატვრული ტანვარჯიში, ფრენბურთი, კალათბურთი, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი—აი, ის სახეობები, რომლებშიაც იასპარეზებენ ქალიშვილები. ამ სახეობათა გარდა, ჭაბუკები ძალებს გამოსცდიან კრივში, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში და სხვ. ჩატარდება საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირი, სადაც ცნობილი გუნდები მიიღებენ მონაწილეობას.

შეჯიბრებები საერთაშორისო სპორტულ ფედერაციათა მიერ დაკანონებული წესების საფუძველზე გაიმართება. სპორტსმენები სპორტულ კლუბში ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას, მოეწყობა სემინარები თანამედროვე სპორტის განვითარების აქტუალურ საკითხებზე. ნაჩვენები იქნება სპორტული კინოფილმები. ფესტივალის მონაწილენი შეხვდებიან საყოველთაოდ ცნობილ სპორტსმენებს.

ყოველ მოწინავე ახალგაზრდას სწადია დაესწროს სოფიაში გამართულ ახალგაზრდობის ამ დიდ ზეიმს, რათა აქ შეკრებილ ახალგაზრდობას თანამემამულეთა სახელით სოლიდარობის, მშვიდობისა და მეგობრობის კეთილი სურვილები გადასცეს.

ი. გამრეკელი
საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

10663.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი
პიონერი
7 · ივლისი · 1968
გამოდის XXXXII წელი.

# ვიეტნამელ თანატოლებს

**ამ დღეებში** ყველა რაზმეული ერთსადაიმავე თადარიგს შესდგომოდა. მართალია, ეს სამზადისი სასწავლო წლის ბოლოს დამთხვეოდა, მაგრამ მასთან საერთო არა ჰქონდა რა. ის მიდგომ-მოდგომა, ის თავგამოდება და მოწადინება ერთ საზრუნავს ეკუთვნოდა.

ვიეტნამი — ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღების საგანი — ამჟამად მომეტებულად საყურადღებო გამხდარიყო. მრავალწლიანმა ომმა, რომელმაც ამ ქვეყნის ქალაქები და სოფლები დაანგრია, აამაღლა თავისუფლებისმოყვარე ვიეტნამელთა სახელი. ამერიკის აგრესიის წინაალმდეგ მათი ბრძოლა თანაგრძნობას პოულობს თვით ამერიკელ ხალხში და, რა გასაკვირია, რომ ამ გმირობას ქართველი პიონერების გულიც დაეპყრო. მაგრამ ამ გრძნობებს მანამდე მხოლოდ სიტყვიერად გამოხატავდნენ.

იმჟერად კი უფლება მისცემოდათ, ცოტა რამ საქმეც მოეყოლებინათ. სწორედ რომ ცოტა: ყოველ რაზმეულს თითო ჩანთა უნდა დაემზადებინა და შიგ სასწავლო ნივთები — რვეულები, კალმები, ფანქრები, საშლელები, აგრეთვე პიონერული ყელსახვევებიც ჩაეწყო.

მაგრამ ბევრგან დადგენილი ფარგლებიდან გაბიჯეს — რაზმეულისათვის მიცემული დავალება სარაზმო გახადეს. ამიტომ იმდენჯერ მეტი შეაგროვეს, რამდენი რაზმიც ჰყავდათ. ბავშვების ფანტაზიას გასაქანი მიეცა და ამანათთა ალწერილობაში გაუთვალისწინებელი ნივთებიც გაჩნდა: მოსწავლის ფორმა, საანგარიშო, პლასტელინი, ღია ბარათები, გაკვეთილების ცხრილი, საკუთარი ფოტოსურათები და ნახატებიც კი.

ათასობით ამანათი შეგროვდა — ათასობით შეგნებული პასუხი კითხვაზე: ომი თუ მშვიდობა? ამანათებს მეგობრული წერილებიც ახლდა. აი, პირველად ხელში მოხვედრილი, საზანის საშუალო სკოლიდან გამოგზავნილი წერილი: „ჩვენ არ გვინახავს ომი. იგი მხოლოდ მამების მონათხრობით, წიგნების, ფილმების მეშვეობით გვაქვს წარმოდგენილი. ჩვენ ბევრი გვიფიქრია ომზე: როგორი უნდა ყოფილიყო ის, ან ჩვენ როგორები ვიქნებოდით? შეკრებაზე მოვიწვიეთ სამამულო ომის გმირები, მოვაწყეთ ომში წასულ თანასოფლელთა ფოტოსურათების სტენდები, გავაშენეთ ტყეპარკი, სადაც იმდენი ნერგი დავრგეთ, რამდენი შინმოუსვლელიც გვყავს, გავმართეთ მუზეუმი, ვილაშქრეთ „მამათა გზით". ჩვენ პატივს ვცემთ იმ ხალხს, რომელიც სამართლიან, თავდაცვითს ომს აწარმოებს".

დიახ! ერთ მომცრო ოთახში თავმოყრილი მთელი რესპუბლიკის მოსწავლეთა ამანათები ბევრ საინტერესო მინაწერს წარმოგვიდგენენ.

მარტო რგოლები, რაზმები, რაზმეულები კი არ იწერებიან, არამედ ცალკეული პიონერებიც. „ძვირფასო მეგობარო! — მიმართავს შორეულ თანატოლს თამაზ ღვინიანიძე, მაიაკოვსკის რაიონის სოფელ როხის მეშვიდერაზმელი, — ჩვენ ძალიან გვაწუხებს თქვენი ბედი. ომი საშინელებაა, განსაკუთრებით ბავშვებისათვის: უიარაღოს მტერი ტყვიას გაყრის, შენ კი ბოღმამორეული უმზერ, როგორ იწვის შენი საყვარელი სკოლა თუ სახლი".

„ჩემო ვიეტნამელო ძმაო, — სწერია სალარაშენელთა ღია ბარათში, — შენ არაფერი გინახავს, გარდა ომისა; მშვიდობიანობაში რომ ასი წელი იცოცხლო, მაინც ვერაფერი ამოშლის შენს გულში ბავშვობის ნაღველს. მიიღე გულთბილი სალამი ერთი საბჭოთა ბიჭისაგან, რომლის გვარი და სახელიც გია მიდელაშვილია".

სალარაშენი თეთრიწყაროს რაიონში შემავალი ლამაზი სოფელია. გიას მეგობრებს — ეთერ ადოლაშვილს მარინე ლომთაძეს, ნაზი ფარჯანაშვილს, ლალი ბეგიაშვილს, ზინა და ცისმარი დავითაშვილებს ძალზე ლამაზი ღია ბარათები შეურჩევიათ უცნობი მეგობრებისათვის.

რაზმების და რაზმეულების წერილები ხშირად მათი საქმიანობის ფრაგმენტებსაც გადმოგვცემს. „ჩვენ სამტრედიის მე-2 საშუალო სკოლის პიონერებს, გვსურს მეგობრული ურთიერთობა დავამყაროთ თქვენთან, გავიგოთ, რას აკეთებთ თქვენ და გიამბოთ ჩვენიც: როგორ ვატარებთ ექსკურსიებს ფაბრიკა-ქარხნებში, როგორია ჩვენი შეკრებები, ლაშქრობები, ლიტერატურული დილა-საღამოები; როგორ ემზადება მთელი ჩვენი ქვეყანა ვ. ი. ლენინის დაბადების მეასე წლისთავისათვის და მათ შორის ჩვენც," — იტყობინებიან დიდი თონეთის, მეჯვრისხევის პიონერები, იტყობინება წულუკიძის პიონერთა სახლი. ისინი გვესაუბრებიან თავიანთ კოლმეურნეობებზე, ვენახებზე, ბაღ-ბოსტნებზე და კიდევ იმაზე, რომ მეგობრობამ არ იცის საზღვრები.

ვიეტნამელი ბავშვებისადმი დახმარების მოძრაობამ მთელი სკოლები

საქართველოს პიონერების მიერ ვიეტნამელი თანატოლებისადმი მიძღვნილი საჩუქრები მატარებელში სათუთად ჩაალაგეს. მატარებლის გასვლის წინ, თბილისის ვაგზალში წითელყელსახვევიანთა მიტინგი გაიმართა. „ხელები შორს ვიეტნამისაგან!", „შეწყდეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ბარბაროსული დაბომბვა!", „ჩვენ თქვენთანა ვართ, ვიეტნამელო მეგობრებო!" — გაისმოდა მიტინგის მონაწილეთა მგზნებარე ხმები.




ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიცვა. ფოთის მე-7 საშუალო სკოლაში ყველა კლასმა გაამზადა ნობათი, ისეთი, რომელზეც რაზმეულიც არ იტყოდა უარს, რომ მისი სახელით წარედგინათ. თვითეულს თან ერთვოდა მოსწავლეთა გვარების ჩამოთვლა, სიით პირველი პირველკლასელი ზურაბ ახალაიათი დაწყებული და სიით ბოლო მეათეკლასელი ბადრი ჯოლიათი დამთავრებული.

„გისურვებთ, ჩვენს მიერ გამოგზავნილი რვეულების ფურცლებზე სიხარულით დაგეწეროთ ახდენილი ოცნება — ვიეტნამი თავისუფალია!“ — იწერება საჯავახოს საშუალო სკოლის $XI^1$ კლასი. „დიმის 1-ლი საშუალო სკოლის ოქტომბრელებს ძალზე გვაღელვებს თქვენი ბრძოლა. გისურვებთ გამარჯვებას!“ — სწერენ ვიეტნამელ ბავშვებს დიმელები.

გუდაუთის მე-2 რვაწლიანი სკოლის მოსწავლეებს არ დავიწყებიათ გზის გამკვლევი ბუკლეტი თავიანთი კურორტის შესახებ; რუსთავის მე-12 საშუალო სკოლის II კლასის მოსწავლეებს თავიანთი ფოტოსურათებიც უსახსოვრებიათ; ჭოპორტელებს, რომელთაც რესპუბლიკაში პირველებმა მოაწყეს სასწავლო ნაკვეთი და ყურადღება იმით მიიქციეს, რომ მასზე მიჩურინული ცდები დააყენეს, და ქორეთელებს, სასკოლო მუზეუმით რომ საქვეყნოდ სახელი გაითქვეს, ლაშქრობებით, ექსკურსიებით, დაზვერვითი გასვლებით თუ არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობით, თხუთმეტ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, უნიკალური მასალები რომ დაუგროვდათ. ბარათებში თავიანთი სასახელო საქმეების მოკლე ნუსხაც ჩაურთავთ.

ხოლო თბილისის 1-ლ საშუალო სკოლას, ამ უძველეს სკოლას, სადაც ჩვენი სასიქადულო მოღვაწენი აღზრდილან, ამანათში, სასწავლო ნივთებთან ერთად ბავშვების ფერწერული შემოქმედებაც ჩაუყოლებიათ. იმედა სიჭინავა, დათო ასლანტიშვილი, ლადო კუჭავა, მაგდა მუსხელიშვილი, მარინე ლაფერაძე და მარინე ნორაკიძე თავიანთი ნახატებით გადმოგვცემენ მშვიდობიან ცხოვრებას, დედების, ბავშვების სახეებს, სოფლის მყუდროებას.

და ასე, ამანათებს გზავნიან: ქსოვრისი, ნატახტარი, მისაქციელი, წილკანი, პატარა ქანდა, ძველი ქანდა, საგურამო, ძალისი, ახალდაბა, მუხრანი, ნიჩბისი, ზაჰესი, ქსანი, ჩარდახი, ძეგვი, ბიწმენდი, ვაზიანი, სასხორი, მცხეთა... სულ მცხეთის რაიონში შეუგროვებიათ: 75 მოსწავლის ჩანთა, 1524 რვეული, 366 ფანქარი, 296 კალმისტარი, 61 ალისფერი ყელსახვევი, ასევე — საშლელები, ალბომები, ხალათები, გეტრები, წინდები, კალმები, სამელნეები, მაისურები, ფეხსაცმელები, წიგნები, პიონერებისა და ოქტომბრელების სამკერდე ნიშნები, ბაფთებიც კი. გარდაბნის რაიონიდან, სხვა მრავალ ნივთთან ერთად, მიღებულია 55 ჩანთა და მოსწავლის 9 ფორმა. კომკავშირის ქუთაისის ქალაქკომი გვაცნობებს, რომ წარმატებით ჩატარდა ვიეტნამელ ხალხთან მეგობრობის ერთთვიური, ქალაქის კომკავშირულ ორგანიზაციებში და ყველა პიონერულ რაზმეულში გაიმართა სოლიდარობის მიტინგები და შეკრებები, რომ ქალაქის ახალგაზრდობამ, ვიეტნამელთა სასარგებლოდ, სასწავლო ნივთების გარდა 65 ტონა შავი ლითონის ჯართი შეაგროვა.

...საჩუქრების გაგზავნისას, თბილისის ვაგზალში, მატარებლის გასვლის წინ, მიტინგი გაიმართა. წითელყელსახვევიანთა დიდი არმიის წარმომადგენლობა მოსულიყო აქ, რათა ამ ჯერ კიდევ ზრდადაუსრულებელ მოქალაქეებს, დიდი მოქალაქეობრივი და ადამიანური ვალი მოეხადათ.

**ეთერ სახვაძე.**



ამ სურათზე აღბეჭდილია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი საბავშვო ბაღი. სანამ მშობლები მუშაობენ ან მშობლიურ ქალაქს აგრესორების თავდასხმისაგან იცავენ, აღმზრდელი ქალი ბავშვებს ახალ სიმღერას ასწავლის. საჰაერო განგაშის სიგნალზე პატარები თავიანთ მჟარავ ქუდებს იხურავენ და საფარში იმალებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# კომკავშირი სოციალიზმის ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლაში

**შოთა თეთვაძე,**
*ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.*

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ სახალხო მეურნეობის აღდგენის წლებში, კომკავშირმა სახელოვანი შრომითი გმირობის არაერთი ფურცელი ჩაწერა. 1925 წლის ბოლოს ძირითადად მიღწეული იქნა მრეწველობის ომამდელი დონე, მაგრამ ომამდელი დონე ჩამორჩენილი ქვეყნის დონე იყო. მეფის რუსეთი 10-ჯერ ნაკლებ ქვანახშირს იღებდა, ვიდრე ინგლისი, 7-ჯერ ნაკლებ ფოლადს ადნობდა, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები, რკინის მადნის მოპოვება 5-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე საფრანგეთში. ამიტომ, აღდგენითი პერიოდის დასასრულს, ამ ჩამორჩენილობის შედეგად, საბჭოთა კავშირი ეკონომიური განვითარების დონის მიხედვით, ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე იყო ევროპაში. ასეთ ჩამორჩენილ ქვეყანას არ შეეძლო თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ახალი საზოგადოების აშენებისათვის აუცილებელი იყო სოციალისტური მრეწველობის განვითარება — საკუთარი ლითონი, ქვანახშირი, ნავთობი. ტრაქტორები და კომბაინები ისე იყო საჭირო ახალგაზრდა სახელმწიფოსათვის, როგორც წყალი თევზისათვის.

კომუნისტური პარტიის XIV ყრილობამ (1925 წლის დეკემბერი), რომელიც სოციალისტური მშენებლობის ლენინური გეგმით ხელმძღვანელობდა, მთელი სიგრძე-სიგანით დააყენა სსრ კავშირის ინდუსტრიულ ქვეყნად გადაქცევის საკითხი და აიღო სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის მტკიცე გეზი. ყრილობაზე, ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, ი. ბ. სტალინი მიუთითებდა: „გადავაქციოთ ჩვენი ქვეყანა აგრარულიდან ინდუსტრიულ ქვეყნად, რომელსაც უნარი შესწევს თავისი საკუთარი ძალებით დაამზადოს საჭირო მოწყობილობა, — აი რა არის ჩვენი გენერალური ხაზის არსი, საფუძველი".

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლა ახალ ამოცანებს აყენებდა ლენინური კომკავშირის წინაშე. პარტიის XIV ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში, — „კომკავშირის მუშაობის შესახებ", დასახულ იქნა სოციალისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანები. კომკავშირი დიდი აღფრთოვანებითა და მოწოდებით შეხვდა პარტიის XIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

ისე, როგორც ჩვენი ქვეყნის დიდ სამრეწველო ქალაქებში, 1927 წლის დამდეგს, საქართველოს სამრეწველო საწარმოებშიც კომკავშირელების ინიციატივით შეიქმნა დამკვრელი ბრიგადები. ეს ბრიგადები გამოირჩეოდა საწარმოო აღმავლობითა და შრომის დისციპლინით.

1929 წლის იანვარში საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" ფურცლებიდან მოწოდებით მიმართა ახალგაზრდობას, ჩაბმულიყვნენ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

კომუნისტურმა პარტიამ მოიწონა კომკავშირისა და პრესის თაოსნობა. 1929 წლის აპრილში პარტიის XVI კონფერენციის დელეგატებმა მოწოდებით მიმართეს ყველა მშრომელს, — მხარი დაეჭირათ კომკავშირელთა თაოსნობისათვის და სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულიყვნენ. კომკავშირის ინიციატივით დაწყებული მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება სოციალიზმის მშენებლობის ძირითად მეთოდად იქცა.

კომკავშირელი მუშები, ბრიგადებში თუ საამქროებში, გულდასმით სწავლობდნენ საწარმოო შესაძლებლობებს და ამის საფუძველზე შეჰქონდათ საქმიანი წინადადებები, რომლებიც უზრუნველყოფდა საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებას. კომკავშირელები ქმნიდნენ „მსუბუქი კავალერიის" ნებაყოფლობით ჯგუფებს. სამრეწველო საწარმოებში „კავალერისტები" იბრძოდნენ საწარმოო გეგმების გარღვევების მოსპობისათვის, კონტროლს უწევდნენ რაციონალიზატორული წინადადებების ცხოვრებაში გატარებას, ამხელდნენ ბიუროკრატებს. დაწესებულებებში „მსუბუქი კავალერია" ასრულებდა პარტიული ორგანიზაციებისა და სახელმწიფოებრივი კონტროლის ორგანოების — მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყველაზე მრავალფეროვან და პასუხსაგებ დავალებებს.

კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა სათანადოდ დააფასა კომკავშირის ინიციატივა და შრომითი გმირობა. 1931 წელს დამკვრელობისა და სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის საქმეში გამოჩენილი ინიციატივისათვის კომკავშირი შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა.

ამ ჯილდომ კიდევ უფრო აღაფრთოვანა ლენინური კომკავშირი. ხუთწლედის მშენებლობებზე სამუშაოდ გამოცხადდა ახალგაზრდობის მობილიზაცია. მარტო პირველ ხუთწლედში 7 ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი გაემგზავ-

რა ვოლგაზე სატრაქტორო ქარხნის ასაშენებლად; ციმბირსა და ურალში 66 ათასი ახალგაზრდა პატრიოტი წავიდა; დონბასის შახტებს 36-ათასკაციანი ახალგაზრდული არმია შეემატა. ათასობით მუშა გაემართა იაკუტიის საბადოებისაკენ, სახალინზე. კომკავშირმა ახალ მშენებლობებზე სულ 350 ათასზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი გაგზავნა.

უდიდეს მშენებლობებზე მუშების უმრავლესობას ახალგაზრდობა შეადგენდა. მაგალითად: დნეპრომშენის მშენებელთა 70 პროცენტი ახალგაზრდობა იყო, მოსკოვის ბურთულსაკისრების ქარხნის მშენებლობაზე — 70 პროცენტი, სტალინოგორსკის ქიმკომბინატის მშენებლობაზე — 65 პროცენტი, მაგნიტკაზე — 60 პროცენტზე მეტი, კრამატორსკმშენზე — 45 პროცენტი. 1936 წლისათვის ჩვენი ქვეყნის მრეწველობის, ტრანსპორტის და სხვადასხვა მშენებლობის უბნებზე ჩაბმული იყო 7 მილიონზე მეტი ახალგაზრდა მუშა, ახალგაზრდობა მთელი მუშათა კლასის ერთ მესამედს შეადგენდა, ხოლო ბევრ მსხვილ საწარმოში — მუშების საერთო რიცხვის თითქმის ნახევარს. კომუნისტები და კომკავშირელები მტკიცე ბირთვს შეადგენდნენ, რომელიც ამჭიდროებდა ახალგაზრდა მშრომელთა არმიას. ისინი ხიბლავდნენ ადამიანებს ენთუზიაზმით, მშენებლობის პათოსით, შრომაში თავგანწირულობის ბრწყინვალე მაგალითს იძლეოდნენ.

დღევანდელი ყამირელების, შორეული აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ახალმოსახლეების მამები და პაპები ძალზე მძიმე პირობებში მუშაობდნენ და ცხოვრობდნენ. ქვეყანას ჯერ კიდევ არ გააჩნდა საჭირო ძალები და საშუალებები, რომ ისე ეზრუნა თავისი წარგზავნილებისათვის, როგორც ახლა ზრუნავს. მაგრამ ახალგაზრდობა ფულისათვის კი არ მუშაობდა, არამედ სინდისისა და სოციალიზმის დიადი საქმისათვის. ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა კარგად იცოდნენ, რომ სოციალისტური მშენებლობა იგივე ფრონტი იყო თავისი გმირებითა და მამაცებით.

დნეპრჰესის მშენებლობაზე, ერთერთ პასუხსაგებ მომენტში, როდესაც საჭირო იყო მთელი ძალების დაძაბვა, რათა ჩასულიყვნენ წყალქვეშა კლდემდე და მასზე კაშხალის საძირკველი ჩაეყარათ, კომკავშირის ორგანიზაციამ „საიერიშო დღეები" გამოაცხადა. ყველა კომკავშირელი ქვაბულში სამუშაოდ წავიდა. გაზაფხულის უხვი წყალი ძირს უთხრიდა მაღალ ნაპირებს. ქვევით მიიწევდა ტალახის ნაკადი. კომკავშირელები დღე და ღამე წყალსა და ტალახში ჩამდგარნი მუშაობდნენ და მაინც მიაღწიეს კლდეს. კაშხალის სხეულში 500 ათასი კუბური მეტრი ბეტონი ჩაასხეს და გრანდიოზული სამუშაო მოკლე დროში დაამთავრეს.

ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის ამწყობი საამქროს მშენებლობაზე ერთხელ ასეთი შემთხვევა მოხდა: 500 მეტრი სიგრძის უზარმაზარი კორპუსის ბეტონირება ზამთრამდე უნდა დამთავრებულიყო. მშენებლობის კომკავშირელებმა დაადგინეს, არ მიეტოვებინათ სამუშაო ადგილი, ვიდრე ბეტონის უკანასკნელი კუბმეტრი არ იქნებოდა ჩასხმული. ბევრი კომკავშირელი სამუშაოს დამთავრების შემდეგ შინ არ მიდიოდა, საამქროში რჩებოდა, რათა საჭიროების შემთხვევაში მომდევნო ცვლაში მომუშავე ამხანაგებს დახმარებოდა. უკანასკნელი საყრდნობი კოჭები ღამით დააბეტონეს, არ ეყოთ ურიკები და ბეტონის მიზიდვა კასრებითა და ვედროებით დაიწყეს. სამუშაო ვადაზე ადრე შესრულდა.

შეიძლებოდა კომკავშირელთა გმირული საქმიანობის სხვა ფაქტების გახსენებაც, მაგრამ აღნიშნულიც ნათლად ამტკიცებს ჩვენი კომკავშირელების გმირობას.

ომამდელი ხუთწლედის წარმატებით შესრულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა ახალი ტექნიკის დაუფლება იყო. კომკავშირის ინიციატივით საწარმოებში იქმნებოდა ტექნიკური კურსებისა და სკოლების ფართო ქსელი, ეწყობოდა ტექნიკური კონსულტაციები, გამოფენები, ტარდებოდა „საღამოები" და „ტექნიკის დღეები". კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით კომკავშირელების მიერ სავალდებულო ტექნიკური მინიმუმის ჩაბარება იქნა შემოღებული. საზოგადოებრივტექნიკურმა გამოცდებმა გიგანტური გაქანება მიიღო. არასრული ცნობებით, მარტო 1934 წელს ტექნიკური მინიმუმის ცოდნაზე წარმატებით ჩააბარა გამოცდა 170 ათასმა კომკავშირელმა და 860 ათასმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის წინადღით — 1935 წლის 31 აგვისტოს დონბასში, მაღარო „ცენტრალნაია ირმინოს" კომკავშირულ უბანზე ახალგაზრდა მნგრეველმა ალექსი სტახანოვმა ერთ ცვლაში 102 ტონა ქვანახშირი გამოანგრია, და ამით 14-ჯერ გადააჭარბა ქვანახშირის ამოღების ჩვეულებრივ ნორმებს. სტახანოვს სწრაფად გაუჩნდნენ მიმდევრები. იმავე მაღაროს პარტორგმა დიუკანოვმა 115 ტონა ქვანახშირი გამოანგრია, კომკავშირელმა მნგრეველმა კონცელალოვმა — 125 ტონა. პირველი სტახანოველების თაოსნობას, რომელთა შორის ბევრი იყო კომკავშირელი, ჩვენი ქვეყნის ათასობითა და ათიათასობით მშრომელი გამოეხმაურა. მსუბუქ მრეწველობაში პირველ სტახანოველებად გამოვიდნენ კომკავშირელი ქალები — ფეიქრები ევდოკია და მარია ვინოგრადოვები; ტრანსპორტზე — კომკავშირელი მემანქანე პეტრე კრივონოსი; სოფლის მეურნეობაში — კომკავშირელი ქალი — ტრაქტორისტი პაშა ანგელინა.

საქართველოში სტახანოვური მოძრაობის პირველი ინიციატორები აგრეთვე კომკავშირელები და ახალგაზრდები იყვნენ. მთელ რესპუბლიკაში ცნობილი გახდა ვასილ სამხარაძის, ტრიფონ ფოფხაძის, დავით ჭიჭინაძის, შოთა ფურცხვანიძის, ალექსანდრე კასრაძის სახელები. პირველი და მეორე ხუთწლიანი გეგმების წარმატებით შესრულებაში თავი გამოიჩინეს კომკავშირელებმა: მარო გამყრელიძემ, ლევან ობოლაშვილმა, ოსანა აივაზაშვილმა, ეკატერინე ძაბელაშვილმა, ცაცა ქარდავამ, ეთერ მაზანაშვილმა, არჩილ ღუდუშაურმა, ევგენია ხუნდაძემ, მარო ქურციკიძემ და სხვებმა.

კომუნისტურმა პარტიამ ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციაში პირველი გადამწყვეტი წარმატების მოპოვებისთანავე დასახა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ამოცანა: პარტიის XV ყრილობის



ეროვნული ბიბლიოთეკა



(1927 წლის დეკემბერი) გადაწყვეტილებათა საფუძველზე ფართოდ გაიშალა სოფლად პოლიტიკური, იდეოლოგიური და ორგანიზაციული მუშაობა წვრილგლეხურ მეურნეობათა მასობრივი კოლექტივიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის. სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაში კომკავშირმა აქტიური მონაწილეობა მიიღო.

კომკავშირული ორგანიზაციები ფართოდ ატარებდნენ საკოლმეურნეო საწარმოო ლაშქრობებს. ეს ლაშქრობები ხელს უწყობდა კოლმეურნეობების განმტკიცებას, სამეურნეო მოსავლიანობის გაზრდას, საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომ განვითარებას. კომკავშირელები ფართო სოციალისტურ შეჯიბრებას აჩაღებდნენ საკოლმეურნეო მინდვრებზე, აწყობდნენ სასოფლო-სამეურნეო მანქანების დათვალიერებას, დაუნდობლად იბრძოდნენ კულაკობისა და სხვა კლასობრივი მტრების ყოველგვარი ფარული თუ აშკარა გამოსვლების წინააღმდეგ.

1929 წლის იანვარ-ოქტომბერში კომკავშირმა ჩაატარა პირველი მასობრივი ლაშქრობა მოსავლიანობის გაზრდისა და კოლექტივიზაციის განმტკიცებისათვის.

1929 წლის გაზაფხულზე 5 ათასზე მეტი ახალი კოლმეურნეობა შეიქმნა. კომკავშირმა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში სამუშაოდ 13 ათასი კაცი გაგზავნა. კომკავშირელებმა, ათი სატრაქტორო კოლონისათვის, 300 ტრაქტორის შესაძენი თანხა შეაგროვეს. კოლმეურნეობებში კომკავშირელთა რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა. 1929 წლის დამლევს კოლმეურნეობებში 859 ათასი კომკავშირელი იყო გაერთიანებული.

ლენინური კომკავშირი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის ბრძოლაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მექანიზატორთა კადრების მომზადებას. მარტო 1931-1934 წლებში 2,5 მილიონი ტრაქტორისტი, მექანიკოსი, შოფერი და სხვა მექანიზატორული კადრები მომზადდა, რომელთა შემადგენლობაში 80 პროცენტზე მეტი ახალგაზრდობა იყო.

სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში კომკავშირი საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების, კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის ბრძოლაში კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწე და მედროშე იყო. მეცნიერებისა და ტექნიკის დაუფლებაში ახალგაზრდობის საბრძოლო პროგრამა გახდა საკავშირო ალკკ VIII ყრილობაზე (1928 წლის მაისი) ი. ბ. სტალინის გამოსვლა. ი. ბ. სტალინმა საბჭოთა ახალგაზრდობას მოუწოდა დაუღალავად და შეუპოვრად დაუფლებოდა მეცნიერების მწვერვალებს. „შენება რომ შესძლო, — განაცხადა ი. ბ. სტალინმა, — საჭიროა ცოდნა, საჭიროა მეცნიერების დაუფლება, ხოლო თუ ცოდნა გინდა, უნდა ისწავლო, ისწავლო შეუპოვრად, მოთმინებით... ჩვენს წინაშე ციხე-სიმაგრეა. მას, ამ ციხე-სიმაგრეს, ცოდნის მრავალრიცხოვანი დარგებით, მეცნიერება ეწოდება. ეს ციხე-სიმაგრე უნდა ავიღოთ, რადაც უნდა დაგვიჯდეს. იგი ახალგაზრდობამ უნდა აიღოს, თუ მას სურს ახალი ცხოვრების მშენებელი იყოს, თუ მას სურს ძველი გვარდიის ნამდვილი შემცვლელი გახდეს“.

ახალგაზრდობა უდიდესი ენთუზიაზმით სწავლობდა მუშათა ფაკულტეტებზე, ტექნიკუმებში, უმაღლეს სასწავლებლებში. ფართოდ არის ცნობილი კომკავშირის დიდი დამსახურება კულტურული რევოლუციის განხორციელებაში. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, მეცნიერების დაუფლება, მშრომელი ახალგაზრდობიდან სპეციალისტების მომზადება, ქალიშვილებისა და ჭაბუკების კულტურული დასვენების ორგანიზაცია — ყველა ამ საქმეში კომკავშირი აქტიურ მონაწილეობას იღებდა. საკმარისია ითქვას, რომ 1929-1930 წლებში კომკავშირის საგზურით სოფლად წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის 350 ათასი კულტმოლაშქრე გაიგზავნა, მუშფაკებში სასწავლებლად 15 ათასი კაცი წავიდა, უმაღლესი სასწავლებლების მოსამზადებელ კურსებზე — 20 ათასი, ტექნიკუმებში — 5 ათასი.

კომკავშირი განუხრელად ავსებდა საბჭოთა ინტელიგენციის რიგებს. 1928-1937 წლებში კომკავშირის წევრთაგან 118 ათასი ინჟინერი და ტექნიკოსი, 69 ათასი სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, 91 ათასი მასწავლებელი, 9 ათასი ექიმი და ათიათასობით სხვა მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მომზადდა.

ამრიგად, კომკავშირმა ნაყოფიერი მუშაობა გასწია სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელებაში. ომამდელ ხუთწლედებში შეიქმნა თანამედროვე შავი მეტალურგია, სატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაქტორო, საავტომობილო, ქიმიური და საავიაციო მრეწველობა, განვითარდა ქვანახშირისა და ნავთობის მრეწველობა. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების შედეგად სოფლად დამკვიდრდა ახალი ცხოვრება, განხორციელდა კულტურული რევოლუცია, ჩამოყალიბდა პირველი სოციალისტური საზოგადოება, რომელიც წინათ მხოლოდ ოცნება იყო.

სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში კომკავშირი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა სპორტის მასობრიობას. 1931 წელს, კომკავშირის წინადადებით, დამუშავდა და შემოვიღეთ ფიზკულტურული კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“. სპორტი ნამდვილ სახალხო საქმედ გადაიქცა. 1936 წელს ფიზკულტურულ მოძრაობაში უკვე 9 მილიონი კაცი ჩაება, მათ შორის 6 მილიონი ახალგაზრდა და კომკავშირელი იყო, ერთ მილიონზე მეტს კი პიონერმოსწავლეები შეადგენდნენ.

ლენინური კომკავშირი იყო და არის ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შეიარაღებული ძალების ძირითადი რეზერვი. დიდი სამამულო ომის დაწყების წინ ავიაციაში, მოტომექანიზებულ ნაწილებში, სამხედრო-საზღვაო ფლოტში ყოველი მესამე მებრძოლი კომკავშირელი იყო.

სოციალიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში კომკავშირი გაიზარდა და დავაჟკაცდა, იდეურად გამოიწრთო, გაიზარდა მისი როლი ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში. 1940 წლის ბოლოს კომკავშირი თავის რიგებში 10 მილიონ წევრს ითვლიდა. ეს 10 მილიონი საბჭოთა პატრიოტი იყო, რომლებიც 1941 წლის 22 ივნისიდან პარტიის ერთგულ და საიმედო ძალად გადაიქცა ფაშიზმის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

მხატვარი
დ. ზარაფიშვილი.



არნო ონელი

# სოკოობა

1

მე სისხამზე ავდექ დილით,
გავაღვიძე ავთანდილიც.
გავუყევით სოფლის შარას,
ვუხმეთ გოგის და ლამარას.

წყაროსთან კი მწკრივად დგანან
გივი,
ვაჟა,
მზია,
ნანა.
ცოტანი ვართ. მაგრამ არა,
რაც კარგია, ცოტაც კმარა!

არც დოლი გვაქვს, არც დაირა,
არც ფანდური, არც ნაღარა,
ხელთ გვაქვს მხოლოდ კალათები,
ზოგს დიდი და ზოგს პატარა.

მაღლიდან მზე დაგვკისკისებს,
დაგვკამკამებს ცის კამარა.

ხევ-ხევ,
სერ-სერ,
ბილიკ-ბილიკ
მივაბიჯებთ ჯერ ნელ-ნელა,
მაგრამ როცა ერთად ყველამ
დავცხეთ „რერო“ მხიარული,
ხოხბის ფრენას გვაგონებდა
გოგონების სიარული.

ეს ბუნება, მისი მადლი
ვინ იხილა და არ აქო?

გუგულის ხმა მოისმა და
ტყეც გამოჩნდა საარაკო.

აქ ფოთლებმა დაჰკრეს ტაში,
და სმენად რომ იქცა ყველა,
ატყდა ბრძოლა და განგაში
სოკოს საძებნ-საპოვნელად.

2

ნაშუადღევს შავი ღრუბლის
შავი ფარა გაჩნდა ცაზე,
ქარი ადგა და იხუვლეს
ბერმუხებმა ავდრის ხმაზე.

უცებ წვიმის ერთი წვეთი
დაასკუპდა ცხვირზე გოგის:



მეგობრებო გვიხაროდეს,
წვიმა მოდის!

მაგრამ მხოლოდ ჰექა-ქუხილს
ისმენს ირგვლივ მთა და ბარი,
და ტყის პირას ტანბრგე მუხებს
აცახცახებს შიშის ზარი.

ჩვენ კი (სწორი უნდა ითქვას!)
ვშიშობთ ან ქედს ვიხრით განა?
კალათები მხარზე გვიდგას
და ღიღინით... რიხიანად

ხევ-ხევ,
სერ-სერ,
ბილიკ-ბილიკ
შინ ვბრუნდებით მხიარული.
...შევარდნის და ხოხბის ფრენას
ჰგავდა ჩვენი სიარული.

# ვარდობისთვემ დამაბარა

ნასტუმრალი მთა და ბარად
        ვარდობისთვეც წავიდა,
მაგრამ, რაც მან დამაბარა,
        არ ვივიწყებ წამითაც.

ასე მითხრა:—საქართველო
        არის ჩემი რჩეული,
მოვრთე მისი მთა და მდელო
        ძოწეულ-ფარჩეულით.

სად არ ვიყავ... დავიარე
        ლიხის იქით-აქეთი:
ზეკარი და დარიალი,
        რაჭა, ქართლი, კახეთი...

დიდ სიცოცხლედ აღმოვცენდი
        სოფელ-სოფელ, კარდაკარ,
და ყვავილებს ველზე ვფენდი
        ფერად-ფერად ფარდაგად.

სიმღერაო?.. ვის არ უყვარს,
        ალალი და გულწრფელი,
აქ ნიავიც ფანდურს უკრავს,
        ხეზე ცეკვავს ფურცელი.

ვინ არ მღერის, თუ ბუნება
        გვხიბლავს მშვენიერებით,
თუ ტყეები გუგუნებენ,
        ბიბინებენ სერები.

იმ ცაცხვს ხედავ? ყველა ამბობს
        მის ქებას და დიდებას!
ცეროდენა გიამ დარგო...
        გაახარა კიდევაც.

შენ კი... შენ კი გეთქმის, ქაჯან,
        სიტყვა დასაწუნარი,—
ამ საქმეში რად არა ჩანს
        შენი შნო და უნარი?..



მე მივდივარ, და გთხოვ, გაისს
        ვიყო იმის მნახველი,
რომ სოფელში ერთ ხეს მაინც
        ერქვას შენი სახელი.

# ზაფხულის წვიმა



უეცრად მეხი გავარდა,
        ღამე გაბრწყინდა წუთით,
მეც აივანზე ვდგავარ და
        თითქოს სასწაულს ვუცდი.
ხეები ქართან დავობენ
        და გახელებით ჰქუხან,
ტოტებით ფარიკაობენ
        ბერი ცაცხვი და მუხა.
უცბათ გაისმა წკარუნი,
        წვეთმა დაწინწკლა მინა,
და მერე რერო-რანუნის
        მღეროდა ჩვენი ბინა.
და როცა დილა გათენდა,
        მიწამ ცას გაუცინა:
— ნურც მომკლებოდეს ასეთი
        სასიამოვნო წვიმა!

მხატვარი გ. ფოცხიშვილი

## ოქროს საწმისი

გიასი (ჩვ. წ.-მდე V საუკუნის ბერძენი მოაზროვნე): შრომა სამართლიან საქმეს მოახმარე.

მ. გორკი: სწორედ შრომაში და მხოლოდ შრომაში არის ადამიანი დიადი, და რაც უფრო მხურვალეა მისი სიყვარული შრომისადმი, მით უფრო ნაყოფიერი, მშვენიერია მისი შრომა.

ვ. ი. ლენინი: კომუნისტური შრომა, სიტყვის უფრო ვიწრო და უფრო ზუსტი გაგებით, უსასყიდლო, უფასო შრომაა საზოგადოების სასარგებლოდ, შრომა, რომელიც განსაზღვრული ბეგარის მოსახდელად, გარკვეულ პროდუქტებზე უფლების მისაღებად, წინასწარ დადგენილი და დაკანონებული ნორმების მიხედვით კი არ არის გაწეული, არამედ ნებაყოფლობითია, უნორმოა. ეს შრომა ანაზღაურების ანგარიშით როდია გაწეული, იგი გაწეულია საერთო სარგებლობისათვის შრომის ჩვევის გამო და საერთო სარგებლობისათვის შრომის აუცილებლობისადმი (ჩვევად ქცეული) შეგნებული დამოკიდებულებით; შრომა, როგორც ჯანსაღი ორგანიზმის მოთხოვნილება.

შ. რუსთაველი:
მაშა ლხინსა ვინ მოიმკის,
პირველ ჭირთა უმუშაკო?..

ვაჟა-ფშაველა:
მორევნა სხვისა, ნუ ჰფიქრობ,
რომ იყოს მარტო სახელი!
შენი შრომა და ღვაწლია
საყურადღებო სათქმელი.

ა. წერეთელი:
ბედნიერება ამ ქვეყნად
შეერთებული შრომაა.

ი. ჭავჭავაძე: ქვეყანა ტაძარი კი არ არის, საცა კაცი უნდა ლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა ირჯებოდეს და მუშაობდეს.

# გულთაზი, მოდელი და მეგობრები

კარლო
ზაბაზაძე

მხატვარი
რევაზ
ცუცქირიძე

მოთხრობა

სკოლის ეზოში ერთსართულიანი შენობა იდგა. იქ სპორტული დარბაზი და პიონერთა ოთახი იყო მოთავსებული. აქვე იყო ტექნიკური სადგურისათვის გამოყოფილი ოთახიც. გულთაზმა ოთახის გასაღები ელექტროდამცველების თახჩიდან გამოიღო და კარი გააღო. მოდელი იატაკზე იდო. გულთაზმა ჩანთა მაგიდაზე მიაგდო; მაგიდაზე ქაღალდში შეხვეულ რაღაც ნივთს მოჰკრა თვალი. ნეტავ რა უნდა იყოსო, გაიფიქრა და შეხვეული ხელში აიღო, ქაღალდი რომ შემოაცალა, გახარებულმა შესძახა:

— მოტორი!

ქაღალდში დიდი მოტორი იყო გახვეული. „ალბათ ფიზიკის მასწავლებელმა მომიტანა. მრავალჩამჩიანი ექსკავატორისათვის გამოდგება“. გულთაზმა ერთხანს ათვალიერა, მერე ჩამოჯდა, ჩანთა გახსნა, რვეული ამოიღო და მრავალჩამჩიანი ექსკავატორის ხაზვას შეუდგა. მალე ისე გაერთო, ვერცკი გაიგო, როგორ გავიდა დრო. უცებ ვიღაცამ კარზე დააკაკუნა.

— შემოდი! — გასძახა გულთაზმა. თან გაუკვირდა: აქ ხომ ყველა პირდაპირ, დაუკაკუნებლად შემოდისო.

კაკუნი ისევ განმეორდა. გულთაზი წამოდგა და კარი გააღო, მის წინ თავით ფეხამდე გალუმპული ბონდო იდგა. გარეთ კოკისპირულად წვიმდა.

— შემოდი! — უთხრა გულთაზმა.

— მარტო ხარ? — თქვა ბონდომ ქსიტინით, ჯიბიდან მოტორი ამოიღო და გულთაზს გაუწოდა.

— ფული რომ ვერ ვიშოვნე? — ჩაილაპარაკა გულდაწყვეტილმა გულთაზმა.

— არაუშავს, ეს მოტორი ხომ შენც გეკუთვნის, მე არაფერში არ მჭირდება, წაიღე! — ბონდო შეტრიალდა და თითქმის სირბილით წავიდა. გულთაზი ერთხანს გაოგნებული დასჩერებოდა მოტორს, მერე კარი მოხურა და მაგიდასთან მივიდა. პატარა მოტორი დიდ მოტორს დაატოლა. იგი ხუთჯერ თუ ექვსჯერ ნაკლები აღმოჩნდა.

„ახლა მხოლოდ ელექტრომაგნიტი, მატარებლისათვის თექვსმეტი ცალი ბორბალი, მრავალჩამჩიანი ექსკავატორისათვის კი ორი დიდი კბილანაღა მაკლია. ბორბლებს და კბილანებს ქარხანაში გამოვაჩარხინებთ. ელექტრომაგნიტს კი მე თვითონ დავამზადებ“.

მეორე დღეს დედა გაკვეთილების დამთავრებისას მოვიდა სკოლაში. იგი დიდხანს იჯდა დირექტორის კაბინეტში. გულთაზიც დაიბარეს. იქიდან ლოყებაწითლებული გამოჰყვა დედას. წინ ქეთო შეეგება და ჩურჩულით ჰკითხა:

— რა გითხრეს?

— რა უნდა ეთქვათ...

— არ უთხარი დირექტორს, ბონდო იყო-თქო?

— დამებეზღებინა?! გოგო ხომ არა ვარ! — გულთაზს გული მოუვიდა.

— სკოლაში ამბობენ, ბონდოსი ეშინიაო, — ჩურჩულითვე განაგრძო ქეთომ.

— მეშინია?! — გაიკვირვა გულთაზმა.

— იმასაც ამბობენ, უტილში ნაპოვნი მოტორი ბონდომ წაართვაო. ყველამ იცის, შენ, ბონდო და ზაზა რომ იყავით ერთად, დამრიგებელმაც გაიგო, დირექტორმაც!

ერთხანს უხმოდ მიჰყვებოდნენ ქუჩას. მალე შუკაში შეუხვიეს და ჭიშკარს მიადგნენ. ქეთო დაემშვიდობა. იგი გულთაზის მეზობლად ცხოვრობდა.

მამა მაგიდასთან იჯდა. ბებია ტახტზე ჩამომჯდარიყო და გულხელი დაეკრიფა. ხმას არ იღებდა, გაფრთხილებული იყო არ გამოქომაგებოდა შვილიშვილს. მამამ ხმადაბლა დაიწყო:

— ჩვენ თითქმის ყველაფერი ვიცით; გვინდა შენს სიმართლეში დავრწმუნდეთ. ყველაფერი გვიამბე.

გულთაზმა მოყოლა დაიწყო. მენავის დამწყვდევის ამბავს რომ ჰყვებოდა, დედამ შეაწყვეტინა:

— მერე, შვილო, თუ მენავე შეგეცოდა, რად არ გაუღე კარი?

— რანაირად, დედა, უკვე ნავში ვიყავი.

— მერე რა, გადმოვხტებოდი და გავუღებდი; აი, მაშინ იქნებოდი კარგი ბიჭი. ხომ იცი, მარტოხელა კაცია, ბედით დაჩაგრული, უნდა ეხმარებოდეთ, თქვენ კი... ხვალვე მიდი და ბოდიში მოუხადე!

გულთაზმა მოყოლა განაგრძო. როცა მოტორის პოვნისა და მოძრობის ამბავი თქვა, ხელზე დაიხედა, თითები დავიშავეო.

— მერე, რა იქნა ის მოტორი? — იკითხა მამამ.

— იქ მაქვს, ტექნიკურ სადგურში.

— ტექნიკურ სადგურში?! ბონდომ მოტორში ხომ ფული მოგთხოვა?!

გულთაზს ხმა არ ამოუღია.

— დღეს „დოსააფის“ თავმჯდომარე შემხვდა, შაქრო, — დაიწყო მამამ, — მითხრა წამოდი, რაღაცას გაჩვენებო. ტირში წამიყვანა. იქ სამიზნე ჯიხვები იყო მოწყობილი. შაქრომ მითხრა: აი, იმ წერტილში ესროლეო, მეც ვესროლე. არც გამკვირვებია, რამდენი ამისთანა მინახავს თბილისში, მაგრამ გასაკვირი ის იყო, შენმა შვილმა გააკეთაო, რომ მითხრა.

— ბებია ენაცვალოს მაგას! — გაუხარდა მოხუცს.

გულთაზმა ქვეშქვეშ გახედა, მერე თავი დახარა, დედის გაკვირვებულ გამოხედვას ველარ გაუძლო და ჩაილაპარაკა:

— ჯიხვები მოტორის გამოსასყიდი ფულისათვის გავაკეთე.

ბებიამ რაღაც ჩაილაპარაკა, ფეხზე წამოდგა და ოთახიდან გავიდა.

— სიგელი რა უყავი, შვილო? — ჰკითხა მამამ.

გულთაზმა უხმოდ გახსნა ჩანთა, წიგნში ჩაკეცილი სიგელი ამოიღო და მამას გაუწოდა. დედაც სიგელს ჩააც-

* დასასრული. იხ. პიონერი № 6.

ქერდა. ბებია შემოვიდა, ხელში ოთხად გაკვანძული ცხვირსახოცი ეჭირა.

— რა არის, ბოშო, ეს?

— სიგელია, ბიჭი დაუჯილდოებიათ! — აუხსნა მამამ.

ბებიამ სიგელი ჩამოართვა. დიდხანს ათვალიერა, მერე ცხვირსახოცი გახსნა და ფული ამოიღო.

— მერე, სიგელი ასე უნდა ჩაკეცო? — თქვა მამამ წყენით. — დაიხსომე: ფულს ყოველთვის სახელი გერჩიოს, ეს სიგელი შენს მაგიდასთან ჩამოჰკიდე.

ბებია შვილიშვილთან მივიდა, შუბლზე აკოცა და ჯიბეში ფული ჩაუდო.

— რად უნდა, დედა, ფული?! — უთხრა მამამ, — თუ დასჭირდება, გვითხრას. კარგი საქმისათვის ფულს ვინ დაუჭერს...

## „ნუთუ კაბინეტი დათმო?“

გულთაზმა დერეფანი გაიარა და ფიზიკის კაბინეტის კარს მიადგა. გული გამალებით უცემდა. მეორე კვირაა, ტექნიკურ სადგურში აღარ მოსულა.

ამ ორი კვირის წინათ ნორჩ ტექნიკოსთა მუშაობის ხელმძღვანელად ომარ მასწავლებელი დანიშნეს. მან კი, მოვიდა თუ არა, მკაცრი წესები დაამყარა: მუშაობა კვირაში ორჯერ, სამიდან ოთხ საათამდე ჩატარდებაო; ვინც იარაღებს უდიერად მოეპყრობა და მიყრი-მოყრის, ოთახს ის დაალაგებსო; ჩემს დაუკითხავად სარჩილავი და სხვა ელექტრომოწყობილობა არ ჩართოთო; უპირველეს ყოვლისა, უნდა დაეუფლოთ ქლიბის, ხერხის, ჩაქუჩის, შალაშინის და სხვა ხელსაწყოების ხმარების წესებს, შრომის დისციპლინას უნდა მიეჩვიოთო...

... გულთაზი მრავალჩამჩიან ექსკავატორს სცდიდა. ჩამრთველი გადმოსწია და მოტორი გამოთიშა. ექსკავატორმა ხრიალი შეწყვიტა. ომარ მასწავლებელმა შენიშნა:

— ვიბრაცია ტექნიკის მტერია. ტურბინების, გენერატორების ან სხვა მოძრავი მოწყობილობების დაყენებისას მცირე დეფექტიც კი საკმარისია, რომ ვიბრაცია წარმოიშვას, იგი დროთა განმავლობაში აფუჭებს დანადგარებს.

გულთაზმა ექსკავატორს გადახედა. ექსკავატორი ტლანქი და ხმაურიანი გამოუვიდა. ამუშავებისას მთელი მოწყობილობა ხტოდა, ცოცავდა, ხრიალებდა, ხიხინებდა და რახრახებდა.

— ლითონის მუხლუხა ღვედით რომ შევცვალოთ და ზედ ჩამჩები დავამაგროთ? — იკითხა გულთაზმა.

— ამით ხმაურს შევანელებთ, — თქვა ომარ მასწავლებელმა, — რაც შეეხება ვიბრაციას, მას არაფერი ეშველება; გარდა ამისა, ღვედზე ლითონის ჩამჩების დამაგრება ძნელია. ჩემი აზრით, ამ მოდელის განხორციელება მიზანშეწონილი არ არის; არც საჭირო ხელსაწყოები გაგვაჩნია, არც გამოცდილება გვაქვს. თავიდანვე რომ აქ ვყოფილიყავი, ამ ფუჭ შრომას აგარიდებდი.



ოთახში უმცროსკლასელები შემოვიდნენ, ისინიც ტექნიკური სადგურის წევრები იყვნენ.

— დასხედით! — უთხრა მათ მასწავლებელმა, მერე გულთაზს მიუბრუნდა და უთხრა: — თუ გინდა, შენც დარჩი.

გულთაზს გულზე მოხვდა ომარ მასწავლებლის ნათქვამი. ეს ზრდილობიანად ნიშნავდა: წადიო. ბევრიც არ უფიქრია, ჩანთა აიღო და ტექნიკური სადგურიდან გავიდა.

გულთაზი ახლა თითქმის ხვდებოდა, რისთვისაც დაიბარა ფიზიკის მასწავლებელმა. „თუ მკითხავს, ყველაფერს გულახდილად ვეტყვი“, იმეორებდა გულში და მოზღვავებულ ბოღმას იოკებდა.

ფიზიკის მასწავლებელი ერთხანს წერდა, მერე წინ გადმოიხარა, იდაყვით მაგიდას დაეყრდნო, მეორე ხელით, რატომღაც, სათვალე მოიხსნა, მინებს შორიდან გახედა, ისევ გაიკეთა, შემდეგ ჯიბიდან დაკეცილი ქაღალდი ამოიღო, გაშალა და დაიწყო:

— დღეს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურიდან წერილი მივიღე. გამოფენისათვის ექსპონატები 30 მაისამდე უნდა წარმოადგინოთო. როგორ არის შენი მოდელის საქმე?

გულთაზმა თავი ჩაღუნა, ხმა არ ამოუღია! ამ ცნობამ გონება აუფორიაქა, — 30 მაისამდე ცოტა დრო იყო დარჩენილი, გამოცდებიც იწყებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გუშინ მოდელი ვნახე, — თქვა მასწავლებელმა და ფეხზე წამოდგა, — რატომ აღარ მუშაობ? იქნებ ამხანაგების დახმარება გჭირდება, ან რაიმეს შოვნაა საჭირო?

— არა, პატივცემულო... — დაიწყო გულთაზმა.

— მაშ, რა მოხდა? მართალია, ადვილი არ არის, — შეაწყვეტინა მასწავლებელმა, ხელები ზურგს უკან შემოიწყო და მაგიდებს შორის ჩაიარა, როცა უკან მობრუნდა, დასძინა: — მიზნისთვის მეცნიერების კორიფეებსაც კი არ მიუღწევიათ ადვილად. — მან გამოჩენილ მეცნიერთა სურათებზე მიუთითა, კედლებზე რომ ეკიდა, — შრომობდნენ, ღამეებს ათენებდნენ, ეძიებდნენ და... — აქ მასწავლებელმა იმის სათქმელ ლად, რომ იმარჯვებდნენო, ხელები მოიშველია და დასძინა: — არც სხვისგან სწავლას გაურბოდნენ.

გულთაზმა მასწავლებელს მკვირცხლად შეანათა თვალები.

— დიახ, დიახ, სხვისგან სწავლას! ომარ მასწავლებელი თუ დაგეხმარება, თორემ ხელს არაფერში შეგიმლის, მე უკვე ვესაუბრე ომარს.

გულთაზს შერცხვა, უკადრისობა რომ დასწამეს, გაწითლდა და ჩაილაპარაკა:

— იქ მეცადინეობენ.

— ჩვენ ესეც გავითვალისწინეთ. ისინი აქ, კაბინეტში ჩაატარებენ მეცადინეობას.

გაკვირვებულმა გულთაზმა მასწავლებელს შეხედა: „ნუთუ კაბინეტი დათმო?!“

— მაშ ასე: ხვალიდან მუშაობას შეუდექი. თუ რამე დაგჭირდეს, ომარ მასწავლებელს უთხარი. — მერე მხარზე ხელი მეგობრულად დაადო და დაუმატა: — ახლა კი წადი. აბა, შენ იცი, არ შემარცხვინო.

გულთაზს სათქმელი აღარაფერი ჰქონდა, კაბინეტიდან გამოვიდა და დერეფანს გაჰყვა. გაკვეთილები დამთავრებული იყო. ეზო გაიარა და ტექნიკური სადგურის ფანჯარას მიადგა. შეიჭვრიტა, შიგ არავინ იყო. გასაღები თავის ადგილას დახვდა.

მოდელი კუთხეში მიედგათ, ზედ ქაღალდები და თუნუქის ფირფიტები მიეყარათ. გულთაზი დიდხანს დასჩერებოდა. „მართლაც, რატომ დავანებე თავი მუშაობას? ამდენი გავაკეთე, ვიწვალე“... ჩანთა მაგიდაზე მიაგდო, ჩაიმუხლა. მოდელს ლითონის ფირფიტები და ქაღალდები მოაშორა, მერე მაღაროში ჩაიხედა, იქ ექსკავატორის ჩამჩები ილანდებოდა. ყველაფერი ხელუხლებელი იყო. მოდელი ელექტროშტეფსელთან მიაცურა. კარადა გამოაღო, ქვედა თაროზე დამზადებული რელსები ეწყო, თუნუქის ქილებში კი ხის შპალები ეყარა. „მოდი, ლიანდაგს დავაგებ“, — გაუელვა თავში და კარადიდან სწრაფად გამოალაგა რელსები, შპალებითა და ლურსმნებით სავსე ქილები. მერე ლითონისაგან ლიანდაგის სიგანის თარგი გამოჭრა და საქმეს შეუდგა: დააწყობდა შპალებს, დააგებდა რელსს და წვრილი ლურსმნებით აჭედებდა. ძალიან გაერთო, ვერც კი გაიგო, როგორ ჩამობნელდა. შუქი აანთო. ახლა ორი გადამყვანი ისრის მოწყობაღა იყო საჭირო და ლიანდაგის დაგებაც დამთავრებული იქნებოდა.

მოულოდნელად სარკმლიდან დაჟინებული ჭვრეტა იგრძნო. მიიხედა და მინაზე მოჭყლეტილი ცხვირი, გაფართოებული თვალები და აქეთ-იქით გაპრეხილი ნაწნავები მოხვდა თვალში.

„ქეთო! ნეტა რა უნდა? რაზე მოსულა?“

გულთაზი ჩამუხლული შეტრიალდა და ზურგი შეაქცია, მასთან გუშინდელი საუბარი გაახსენდა: „არაფერი გამოგივიდა, მოდელს ველარ აკეთებო“. წაკინკლავდნენ და ერთმანეთს გაბუტულები დაშორდნენ.



გულთაზს უკან მოხედვა მოუნდა. „ნეტავ ისევ იჭვრიტება თუ წავიდა?“ ოდნავ შეტრიალდა და ფანჯრისაკენ გაიხედა, თან ლურსმანს ჩაქუჩი მოუქნია.

— ვაი! — შესძახა უცებ, ჩაქუჩი ხელიდან გააგდო და თითი პირში ჩაიდო. ფეხზე წამოხტა.

კარების ჭრიალი გაისმა, მერე — ფეხის ხმაც და, მის წინ შეშფოთებული ქეთო გაჩნდა:

— მაჩვენე!

გულთაზმა რაღაც ჩაიბურტყუნა და ხელი ჯიბეში ჩაიდო.

— აი, თურმე რას აკეთებ! — თქვა ქეთომ და მოდელს მიუახლოვდა. — ეს მატარებლის რკინიგზაა?

გულთაზმა ზონარი შეაერთა. ექსკავატორი ახრიგინდა, შეშინებული ქეთო კედელს აეკრა, მერე გაიცინა:

— ეს რა არის? რა საშინლად ხრიალებს!..

— ექსკავატორია, მაღაროდან ქვანახშირი უნდა ამოიღოს.

— ქვანახშირი? მერე, სად არის ქვანახშირი?

— ჩავყრი.

— შენ ჩაჰყრი და ის ამოიღებს?

ქეთომ ოთახში გაიარ-გამოიარა, ხელსაწყოები დაათვალიერა, კარადაში შეიხედა, მერე ისევ გულთაზს დაადგა თავზე და უთხრა:

— ძალიან მომწონს აქაურობა, გინდა მოგეხმარო?

## თურმე როგორი ყოფილხარ!

ქეთოს ელექტროღუმელზე დიდი ქვაბი შემოედგა, ხელში ხის ჩოგანი ეჭირა და ხშირად ურევდა. ქვაბი თუხთუხებდა, მწვანე სალებავში ნახერხი ილებებოდა. მოდელს ირა და ზაზა დასტრიალებდნენ: თაბაშირით მთების მწვერვალებს და ხრამებს ამაგრებდნენ. გულთაზი მაგიდას მისჯდომოდა, გვერდით ომარ მასწავლებელი ეჯდა, თავზე ფიზიკის მასწავლებელი ადგა.

გულთაზმა ელექტროსარჩილავი მოიმარჯვა, ზედ კანიფოლი დაადო, კანიფოლი შიშინით დადნა და სარჩილავის წვერმა პრიალი დაიწყო. მაგიდაზე პატარა ელმავალი იყო. გულთაზმა ბიგელზე მაშა დააჭირა და პატარა მავთული მიარჩილა, მერე ელმავალი შეათვალიერა, აიღო და მოდელისაკენ წამოვიდა. ფიზიკის მასწავლებელი და ომარიც გამოჰყვნენ.

გულთაზმა ელმავალი ლიანდაგზე დადგა, ბიგელი საკონტაქტო ხაზს გაუსწორა. ირა და ზაზა სულმოუთქმელად მისჩერებოდნენ. ეს უკვე მერამდენედ სცდიდნენ, მაგრამ არაფერი გამოდიოდა, — ელმავალს დაძვრა უჭირდა. გულთაზმა ჩამრთველი გადაატრიალა და მოტორის ყრუ ზუზუნი გაისმა. ელმავალი ნელა დაიძრა, თანდათან სიჩქარეს უმატა, მალე გვირაბში გაუჩინარდა, იქიდან რომ გამოვარდა, ხიდი გადაიხრიგინა და დაიდაღმართა.

— კარგია, კარგი! — მოეწონა ფიზიკის მასწავლებელს და სახეზე ღიმილი მოეფინა.

ირასა და ზაზასაც ეღიმებოდათ. ქეთომ ქვაბს თავი მიანება და მოდელთან მოირბინა.

— ახლა ვაგონები შევაბათ, — გაისმა ომარ მასწავლებლის ხმა.

გულთაზმა ჩამრთველი გამოთიშა და წამოდგა, ზაზა მაგიდას მივარდა, პატარა ვაგონები ფრთხილად აიღო და მოარბენინა.

— მიდი, შენს ობიექტს მიხედე! — გადაუჩურჩულა ირამ მომღიმარე ქეთოს.

— ნახერხს მეტი არ უნდა, გადმოსადგმელია. მოდი,

მომეხმარე, გავწუროთ, ცივ წყალში უნდა გავრეცხო და გავაშრო, — მიაყარა ქეთომ სხაპასხუპით, — ხომ ხედავ, რამდენი საქმე მაქვს.

— შენ რომ არ გვყავდე, რა გვეშველებოდა?! — გაიცინა ირამ, ქვაბს ძველი ჭინჭი შემოახვია და გადმოდგა. — ბალახი და გამწვანება მზად არის. — იხუმრა. — ხვალამდე გაშრება, ხვალ კიდევ მოგეხმარებით.

„ახლა კი მომეხმარებით, როცა ყველაფერი გაკეთებულია!" — გაიფიქრა გულთაზმა.

— იცით რა, მე მგონი, ჩვენზე კარგი მოდელი არავის არ ექნება! — თქვა ქეთომ და მოდელს გადახედა.

მასწავლებლები კუთხეში ისხდნენ და ხმადაბლა საუბრობდნენ. მერე წამოდგნენ და ბავშვებს მიუახლოვდნენ.

— ხვალ საბუთები უნდა გავაფორმოთ, — დაიწყო ფიზიკის მასწავლებელმა. — მოდელზე მომუშავეთა სია უნდა შევადგინოთ.

— სია?! — გაუკვირდა გულთაზს.

— ჰო, აჯობებს, თუ მოდელს მოდელისტთა წრის ნამუშევრად წარვადგენთ.

— მოდელისტთა წრისა?!

ფიზიკის მასწავლებელს გაეღიმა, ომარს გადახედა, მერე ჩამწკრივებულ ქეთოს, ზაზას და ირას შეხედა და თქვა:

— მართალია, მოდელი შენ მოიფიქრე და ყველაზე მეტიც შენ იმუშავე, მაგრამ...

გულთაზი მიხვდა, რა სიაზედაც იყო ლაპარაკი. ნიკაპი აუცახცახდა, უნდოდა ეყვირა, რომ მოხმარება ახლა კი არა, დასაწყისში სჭირდებოდა, მაგრამ ვერაფერი თქვა. მასწავლებელი ისედაც მიხვდა, თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

— კარგი, დამშვიდდი.

ზაზამ და ირამ ერთმანეთს გადახედეს. ქეთო ვერაფერს მიმხვდარიყო. მას არც უფიქრია სიაში მოხვედრა და არც დაფიქრებულა ამაზე, მუშაობა ეხალისებოდა და ეხმარებოდა. უცქეროდა ახლა გულთაზს და უკვირდა: ვერაფრით აეხსნა მისი ასეთი აღელვება.

— ჩვენ ახლა წავალთ, — თქვა ფიზიკის მასწავლებელმა. — თქვენც დიდხანს ნუ დარჩებით!

გახევებული ამხანაგები ერთხანს ერთმანეთს მისჩერებოდნენ, მერე ზაზა კარისაკენ გაემართა.

— დაიცა, მეც მოვდივარ! — მიჰყვა მას ირა.

სახტად დარჩენილი ქეთო არ იძვროდა. მერე გულთაზს ჰკითხა:

—რა მოხდა?

— არაფერი, — მიუგო ღიმილით გულთაზმა. — შენზე ხვალ მასწავლებელს ვეტყვი და სიაში შეგიტანს...

— რა სიაში?

— ირა და ზაზა რატომ უნდა შეიტანონ, მხოლოდ ეს სამი დღეა, მოდიან და ვითომ მეხმარებიან!

ქეთომ კოპები შეიკრა. მერე ხმადაბლა იკითხა:

—რა სიაში?

— მოდელის გამკეთებელთა სიაში. აი, აქ ქაღალდს მივაკრავთ, ზედ ჩემი და შენი გვარები ეწერება, მართალია, შენც ბოლოს შემომიერთდი, მაგრამ...

— აი, თურმე როგორი ყოფილხარ! — აღმოხდა ქეთოს, შეტრიალდა და აჩქარებული ნაბიჯით ოთახიდან გავარდა.

## ᲘᲪᲘ, ᲥᲔᲗᲝ, ᲒᲐᲕᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑ!

გულთაზს მღელვარება დაეტყო. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, მაგრამ მის ამხანაგთაგან ბაქანზე არავინ ჩანდა. ირა და ზაზა იმ დღის შემდეგ ტექნიკურ სადგურში



აღარ გამოჩენილან. „ქეთო მაინც სად არის? რატომ არ მოდის? ჩემი ბრალია... თუმცა, რატომ არის ჩემი ბრალი, თვითონაც ხომ იციან, რომ მოდელი მე ერთმა გავაკეთე?"

მოულოდნელად ელმავალმა დაიკივლა და მატარებელიც გამოჩნდა. ხალხი დაფაცურდა.

— მოემზადე, შვილო, — უთხრა დედამ გახევებულ გულთაზს და ჩემოდანს დასწვდა. მას მამა მიეშველა.

ვაგონები რახრახით ჩამოდგა.

— არ მოვიდა! — ჩაიქნია ხელი გულთაზმა და ომარ მასწავლებელს მიჰყვა. დედა და მამაც უკან დაედევნენ. „თუ არ მოვა, ჩემი მოდელი ვერ გაიმარჯვებს, ვერ გაიმარჯვებს!"

— არა უშავს, შვილო, ადი ვაგონში, იქნებ მალე გამოჩნდნენ, — უთხრა დედამ.

„თუ არ მოვა, დავმარცხდები, თუ არ მოვა, დავმარცხდები!" — აეკვიატა გულთაზს. იგი პირველი ავიდა ვა-

გონში, მას ომარ მასწავლებელი აჰყვა, მშობლებმაც ააცილეს. გულთაზი სარკმელს ეცა.

— აბა, ნახვამდის, შვილო, — მიუახლოვდა დედა და ხელი მოჰხვია, გადაკოცნა.

მერე მამა გამოემშვიდობა. გულთაზი ისევ ფანჯრისკენ შეტრიალდა. უცებ სახე გაუბრწყინდა, ფანჯრის ღია სარკმელში ხელი გაყო და დაიძახა:

— ქეთო, ქეთო, აქეთ!

ქეთო ბაქანზე გამორბოდა და ვაგონების ფანჯრებს ათვალიერებდა. მას გულთაზის მშობლები შეხვდნენ, გულთაზის სარკმელს მიუახლოვდნენ. ქეთო იცინოდა და ხელებით რაღაცას ანიშნებდა. გულთაზი საწოლზე ახტა, თავი სარკმელში გაყო და დაიძახა:

— იცი, ქეთო, გავიმარჯვებ!

— რაა? — ვერ გაიგო ქეთომ.

— გ ა ვ ი მ ა რ ჯ ვ ე ბ, გავიმარჯვებ-მეთქი!

— შენ გენაცვალე, შვილო! — უთხრა დედამ.

მატარებელი დაიძრა. თანდათან ს ი ჩ ქ ა რ ეს უმატა. ბაქანზე მყოფნი ხელისქნევით დაედევნენ. მალე ბაქანი გაუჩინარდა.

## გ ა მ ო ფ ე ნ ა ზ ე

ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ეზოში გოგო-ბიჭები შემოვიდნენ და გულთაზს, დარაჯს და შეფუთულ მ ო დ ე ლ ს გარს შემოეხვივნენ.

—კიდევ ექსპონატია, ლადო ბიძია? — იკითხა სათვალიანმა ბიჭმა.

— მაშ! ექსპონატები კი მოდის და მოდის, მაგრამ დასადგმელი ადგილი რომ აღარა გვაქვს?

ამასობაში შენობიდან ომარ მასწავლებელი და ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი გამოვიდნენ.

— გამარჯობათ, გიორგი მასწავლებელო! — მიესალმნენ ბავშვები.

— გამარჯობათ, გამარჯობათ! — უპასუხა გიორგიმ და დასძინა: — რა არის, დოინჯი რომ შემოგიყრიათ და ამხანაგს, სტუმარს არ ეხმარებით!

ბიჭები დაფაცურდნენ. ერთმა, წეროსავით მაღალმა, ნაჯახი და მელაყინი მოარბენინა. ბუთხუზა ბიჭმა გაზი მოიმარჯვა.

მოდელს რამდენიმე წუთში შემოაცალეს ფიცრები. გულთაზი დაძაბული იდგა. მოდელი რომ გამოჩნდა, დამშვიდდა, — იგი სრულებით არ დაზიანებულიყო.

ეზოში სხვა გოგო-ბიჭებიც შემოვიდნენ. ერთხანს უხმოდ უცქირეს მოდელს, მერე ერთმანეთს გადახედეს და ყველამ ერთად გიორგი მასწავლებელს შეხედა. იგი მოდელს მიუახლოვდა, დააკვირდა და თქვა:

— საინტერესოა! წამოიღეთ, საგამოფენო ოთახში დავდგათ.

ბიჭებმა მოდელი ასწიეს. გულთაზს ხელიც არ მოაკიდებინეს, კიბე ნელა აიარეს და დიდ, ნათელ დერეფანში შევიდნენ. აქ გულთაზის ყურადღება ვერცხლისფრად ბრწყინავმა ექსპონატმა მიიქცია. იცნო: დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი იყო. იქვე, მაგიდებზე, კოსმოსური ხომალდების, რაკეტებისა და რეაქტიული თვითმფრინავების მაკეტები ეწყო. კედელზე კოსმონავტების პორტრეტები ეკიდა. გულთაზს გაუკვირდა, იფიქრა: ეს მაკეტები ალბათ გამოფენის გასაფორმებლად არის მოტანილიო. მაგრამ ერთ-ორ ადგილას ბავშვების



გვარი და სახელები რომ ამოიკითხა, დარწმუნდა, ისინი საგამოფენო ექსპონატები იყო.

დერეფანი გაიარეს და ვრცელ ოთახში შევიდნენ.

— აი, აქ დავდგათ! — თქვა გიორგი მასწავლებელმა.

მოდელი დადგეს. ოთახში სულ ორი ექსპონატი იდგა. ერთს ნახევარი ოთახი ეჭირა, მეორეს კი — ერთი კუთხე. გულთაზმა დიდ მოდელზე სარწყავი არხები და ქარსაცავი ზოლები გაარჩია. მეორე მოდელი მიწისმწოველი იყო. იგი წყლით სავსე აუზში ტივტივებდა.

პირველ სართულზე ჩამოვიდნენ. ომარ მასწავლებელი ტექნიკური სადგურის დირექტორს შეჰყვა კაბინეტში. გულთაზი დერეფანს გაუყვა. ერთი ოთახის ღია კარიდან ხმაური გამოდიოდა. შეიხედა. ოთახში სამი ბიჭი მუშაობდა. ერთს ფიცრებისაგან შეკრული ყუთი ეჭირა; მეორე ჩაქუჩს ურტყამდა; მესამე კი ჩაცუცქებულიყო და ყუთს ქვევიდან მისჩერებოდა. გულთაზმა სახარატო ჩარხს მოჰკრა თვალი. იქვე, დაზგაზე, დიდი გირაგი იყო დამაგრებული. აქეთ რაღაც დანადგარი იდგა.

ჩაცუცქებულმა ბიჭმა ხელი ასწია და დაიძახა:

— გეყოფათ!

ბიჭებმა ყუთი იმ დანადგართან მიიტანეს, გულთაზმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ვერ იცნო. ერთმა ჩამრთველის ღილაკს თითი დააჭირა. დანადგარი ამუშავდა.

„ბურღი! რატომ აქამდე ვერ მივხვდი?!“ — გაეღიმა გულთაზს. ოთახში შევიდა, ბიჭები ისე იყვნენ გართულნი, დიდხანს ვერ შენიშნეს. — „ნეტა ასეთი ხელსაწყოები მომცა, რამდენ რამეს გავაკეთებდი! სახარატო ჩარხი აუცილებელი არ არის, ბურღი კი აუცილებელია. არა, სახარატო ჩარხიც საჭიროა, მაშინ ელმავლის ბორბლებს მე თვითონ გამოვჩარხავდი“.

## მეგობრები

რადიოტექნიკის საგამოფენო ოთახი მუდამ სავსე იყო ბავშვებით. ყოველდღე რაღაცას აკეთებდნენ, ფუსფუსებდნენ. დიდი სახაზო გემიც, რადიოთი რომ იმართებოდა, აქ იყო გამოფენილი. სხვა ოთახებშიც იყო გემები, უფრო ლამაზები და ფაქიზად ნაკეთები, მაგრამ ყველას ამ გემის რადიომართვა აინტერესებდა.

— რადიომიმღები მოკლე ტალღებზე მუშაობს, — ამბობდა სათვალიანი ბიჭი და მაგიდაზე დადებულ პატარა კოლოფს დასჩერებოდა, — იგი ნახევარგამტარებით არის დამზადებული, თავისუფლად თავსდება ასანთის კოლოფში. — ბიჭი დაიხარა და მიმღები ჩართო. ოთახში მუსიკის ხმა გაისმა.

გულთაზმა თავის მოდელს მიაშურა. ოთახში არავინ დახვდა. ელმავალი აიღო და სული შეუბერა, მერე მაღაროში ჩაიხედა. ყველაფერი თავის ადგილას იყო.

სწორედ ამ დროს კომისიის წევრებიც მოვიდნენ. მათ ომარ მასწავლებელიც შემოჰყვა. ერთხანს სამგორის სარწყავი სისტემის მაკეტის წინ გაჩერდნენ. მერე მიწისმწოველი ნახეს, ბოლოს გულთაზის მოდელს მიადგნენ. გულთაზს ორიოდე სიტყვა უნდოდა ეთქვა, მაგრამ ისე აღელდა, ვერაფერი თქვა. უხმოდ ჩაიჩოქა. ელმავალი ერთხელ კიდევ შეათვალიერა, ვაგონები ბუნკერებს გაუსწორა და ჩამრთველი გადაატრიალა. ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. სადღაც, მოდელის გულში, ყრუ ზუზუნი ისმოდა, ავტომატური მართვის დოლი ბრუნავდა და ეს იმის ხმა იყო. გულთაზმა მიიხედ-მოიხედა: იქვე, გვერდით, ვიღაც გოგო იდგა. გოგოს ორი პატარა ბიჭი ეყენა წინ. მოდელს დაძაბულ ბი მისჩერებოდნენ.

უეცრად ხრიალი გაისმა: მრავალჩამჩიანი ექსკავატორი ჩაირთო. ბავშვები შეკრთნენ. მთის გულიდან ქვანახშირმა დაიწყო ამოფრქვევა. ბუნკერების თავზე შავი მტვრის კორიანტელი დადგა. მერე ექსკავატორი მიყუჩდა. ისევ ჩამოვარდა სიჩუმე. მალე ხვიმირების საკეტები გაიხსნა და ვაგონები ნახშირით დაიტვირთა. გაისმა ელმავლის მოტორის ყრუ ზუილი, ბორბლები ადგილზე დატრიალდა, მატარებელი არ დაიძრა. გულთაზი მისაშველებლად დაიხარა, მაგრამ გაახსენდა, რომ უყურებდნენ და თავი შეიკავა. ისევ დატრიალდა ბორბლები, გაჰკვესა ბიგელმა. მერე ყველაფერი უცებ მოხდა: ელმავალი ლიანდაგიდან ამოვარდა და გადაყირავდა, ვაგონებიც გადაიყოლა, ნახშირი დაიბნა.

— უუ! — შეიცხადეს პატარა ბიჭებმა.

გულთაზი სწრაფად დაიხარა, ელმავალი და ვაგონები კვლავ ლიანდაგზე დაალაგა. მაგრამ ნერვიულობისაგან ერთმანეთს ვერაფრით ვერ გადააბა, ხელები უთრთოდა.

— დამშვიდდი, ნუ ჩქარობ! — შემოესმა კომისიის წევრთაგანის ხმა.

გულთაზმა მოდელი გამოთიშა, როგორც იქნა, ვაგონები ელმავალს მიაბა, მერე ბუნკერები გასინჯა, მოამზადა და თავი ასწია. კომისიის წევრები ოთახიდან გადიოდნენ. გულთაზს ბოღმა მოაწვა, ნიკაპი აუცახცახდა, წამოდგომა დააპირა, მაგრამ გვერდით ჩაცუცქებულ პატარა ბიჭს მოჰკრა თვალი.

— რატომ გადმოვარდა მატარებელი? — იკითხა ბიჭმა.

— ავარია მოხდა? — თქვა მეორე ბიჭმა და ისიც ჩაცუცქდა.

გულთაზმა ხელმეორედ შეამოწმა მატარებლის ბორბლები და მოდელი ჩართო. მრავალჩამჩიანმა ექსკავატორმა ერთხანს იხრიგინა, მერე ბუნკერების საკეტები გაიხსნა და ვაგონები ნახშირით დაიტვირთა.

— რა კარგია! — შემოჰკრა ტაში პატარა ბიჭმა.

მეორე ბიჭმა ახლოს მიიწია და გულთაზს მხარზე მეგობრულად ჩამოადო ხელი. გოგოც ჩაცუცქდა.

ჩაირთო ელმავლის მოტორი. მატარებელი ჯერ ნელა, მერე მთელი სიჩქარით დაიძრა, დაიღაღმართა, ხიდი გადაიხრიგინა და გვირაბში გაუჩინარდა. ბავშვები სიხარულით ცას ეწივნენ.

მერე მატარებელი გვირაბიდან გამოვარდა და ნავსადგურს მიადგა. ვაგონები ავტომატურად გადმოიცალა, ელმავალმა მოუხვია და ისევ ზევით აუყვა გზას.

პატარა ბიჭმა მოდელზე მიკრულ ქაღალდზე გვარი და სახელი ჩამარცვლით ამოიკითხა და გაკვირვებულმა იკითხა:

— ამხელა მოდელი მარტო შენ გააკეთე?

გულთაზი ჩაფიქრდა, სხვა დროს პირდაპირ უპასუხებდა: „ჰო, მარტო მე ვიმუშავეო“, ახლა კი...

— არა, — უთხრა გულთაზმა და ფეხზე წამოდგა, — მეგობრები მეხმარებოდნენ!

## შენ გენაცვალე, შვილო!

გამოფენა დამთავრდა. ბევრი ექსპონატი უკვე წაიღეს, ბევრიც შეფუთეს, მათ შორის — გულთაზის მოდელიც. ნაწილ-ნაწილ დაეშალათ სამგორის სარწყავი სისტემის მაკეტი. ომარ მასწავლებელი ზევით არ ამოსულა, პირველ სართულზე დარჩა, შეკრება უნდა დაწყებულიყო. მოულოდნელად, კარებში სამხედროფორმიანი კაცი გაიხირა. იღლიაში გრძელი კოლოფები ამოეჩარა და იღიმებოდა. გულთაზი დააკვირდა, უცებ სახე გაებადრა და შესძახა:

— შაქრო ბიძია!

— დღეს დილით ვიყავი, შენი მოდელის ნახვა მოვასწარი! — უთხრა შაქრო ბიძიამ მისალმების შემდეგ.

გულთაზმა თავი დახარა, გაწითლდა.

— მალიან მომეწონა! — შეაქო შაქრომ მოდელი. — ასე უნდა? — არც კი გითქვამს, თბილისში მივდივარო! თუმცა მას შემდეგ „დოსააფშიც“ აღარ გამოგივლია.

— სულ ვმუშაობდი, — ჩაიდუდუნა გულთაზმა და შეფუთულ მოდელს გადახედა. მერე თვალი მუყაოს გრძელ კოლოფებს დაადგა, შაქრო ბიძიას იღლიაში რომ ჰქონდა ამოჩრილი. მათზე პლანერები ეხატა.

— ესენი, — შაქრომ კოლოფები მაგიდაზე დააწყო და ერთ-ერთ მათგანს ხუფი აჰხადა, — პლანერების და თვითმფრინავების მოდელების დასამზადებელი მასალები და ინსტრუქციებია.

გულთაზმა გაფაციცებით დაათვალიერა.

— ეს კი, — განაგრძო შაქრომ და მეორე ყუთი გახსნა, — თვითმფრინავის მოტორია.

— ესენი ჩვენი წრისათვის ვიყიდე, — თქვა შაქრო ბიძიამ.

— რომელი წრისათვის? — დაინტერესდა გულთაზი.

— ავიომოდელისტთა წრისათვის. მართალია, ჯერ არ არსებობს, მაგრამ...

— მე მოვიყვან ამხანაგებს: ირას, ზაზას, იევრს, რეზოს, ბონდოს, ქეთოს...

— ეს რა ამბავია? — გაისმა ოთახში შემოსული ომარ მასწავლებლის ხმა, — ბავშვების გადაბირება მოიწადინე? არაფერი გამოგივა, ეგ ბავშვები ჩვენი ტექნიკური სადგურის წრის წევრები არიან.

მაჭრო გასწორდა, ომარს მხედრულად შეეგება და ხელი ჩამოართვა, ერთმანეთი მოიკითხეს.

— ქვევით ჩავიდეთ, საცაა შეკრება დაიწყება! — თქვა ომარ მასწავლებელმა.

დარბაზი ბავშვებით გაჭედილიყო. შეკრების გახსნის მერე სიტყვა ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორმა თქვა.

შემდეგ დაჯილდოვებულთა გვარები გამოაცხადეს და საჩუქრები გადასცეს.

ბოლოს სიტყვა ისევ დირექტორმა აიღო.

— ბავშვებო, — დაიწყო მან, — როცა თბილისში და ჩვენი რესპუბლიკის ბევრ დიდ ქალაქში ბავშვები კეთილმოწყობილ ტექნიკურ სადგურებში, პიონერთა და მოსწავლეთა სახლებში შრომას ეჩვევიან და თავის ნიჭიერებას და შრომისუნარიანობას ამჟღავნებენ, ბევრ რაიონში ამას მოკლებულნი არიან, მაგრამ ჩანაფიქრის განხორციელებას, დიდი შრომისა და წვალების შედეგად, მაინც აღწევენ. ჩვენი ვალია დავეხმაროთ მათ: რაიონებში ტექნიკური სადგურები შევქმნათ, სკოლებში წრეები ჩამოვაყალიბოთ...

გულთამზი სულგანაბული უსმენდა.

— ჩვენ, — განაგრძობდა დირექტორი, — საგანგებო წამახალისებელი პრემიები დავაწესეთ ამ ბავშვთა დასახმარებლად...

გულთამზს გული გაფრენაზე ჰქონდა, სულს ძლივს ითქვამდა, სცენისაკენ დაძაბული იხედებოდა და ხმას არ იღებდა.

უეცრად დარბაზში გულთამზის გვარი და სახელი გაისმა.

— შენ დაგასახელეს! — უთხრა გახევებულ გულთამზს ომარ მასწავლებელმა.

— აქ არის? — იკითხეს სცენიდან.

გულთამზი წამოდგა. სკამი გაჭრიალდა, ბავშვებმა უკან მოიხედეს. ვიღაცამ იყვირა:

— აქ არის, აქ!

გულთამზი სცენაზე ავიდა. დირექტორს მიუახლოვდა, მან ხელი ჩამოართვა და უთხრა:

— გისურვებ წარმატებებს! — მერე შეტრიალდა, მაგიდიდან დიდი ყუთი აიღო, თავი ახადა და გულთამზს გაუწოდა.

გულთამზმა ორივე ხელი ჩამოართვა, მერე ყუთში ჩაიხედა. ყუთში ლითონის დასამუშავებელი ხელსაწყოების კომპლექტი იყო.

ტაშმა იგრიალა. გულთამზი გამოერკვა. დარბაზს გადახედა. უკანა რიგში ფეხზე წამომდგარ მაჭრო ბიძიას მოჰკრა თვალი. სასაცილო იყო, კოლოფები მაინც დაეწყო სადმე, ისევ იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი, ტაშს კი უკრავდა! გულთამზს თავისი მეგობრები დაუდგა თვალწინ: დარბაზი სკოლის ამხანაგებით აივსო, აქ იყვნენ ქეთო, ზაზა, იევრი, ირა, ბონდო, რეზო... აქ იყვნენ დირექტორი და ფიზიკის მასწავლებელი, აქ იყო მამა... მერე, დარბაზის სიღრმეში, დედის მომღიმარე სახე წარმოუდგა... ბიჭმა თითქოს გარკვევით გაიგონა მისი ხმა:

— შენ გენაცვალე, შვილო!



# საბჭოთა ქანდაკება

ნათელა ალადაშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.



დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ სახვითი ხელოვნების წინაშე მნიშვნელოვანი ამოცანები დააყენა. საბჭოთა ხელოვნებას ფართო საზოგადოებრივი და იდეურ-აღმზრდელობითი როლი დაეკისრა; მხატვრებსა და მოქანდაკეებს რევოლუციური პათოსითა და შემართებით აღბეჭდილ ნაწარმოებებში უნდა აესახათ ის ძვრები, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში რომ ხდებოდა, უნდა შეექმნათ სოციალიზმის მშენებელი ახალი ადამიანის სახეები. საბჭოთა ხელისუფლების პირველი ათეული წლები საბჭოთა ხელოვნების, კერძოდ, ქანდაკების, როგორც ჟანრის, ჩამოყალიბების პერიოდია, რაც წინააღმდეგობათა გზით მიმდინარეობდა.

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში გავრცელებული მშრალი აკადემიზმი, ისევე, როგორც ცხოვრებისაგან მოწყვეტილი, განყენებული ხელოვნება, ვერ ხდებოდა ახალი იდეების გამომხატველი. დაიწყო რევოლუციური ეპოქის შესატყვისი მხატვრული ფორმებისა და სახეების ძიება. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა XIX საუკუნის რუსული ხელოვნების რეალისტურმა ტრადიციებმა. ახალი ამოცანების გადაწყვეტაში აქტიურად ჩაებნენ ჯერ კიდევ რევოლუციამდე ცნობილი მოქანდაკეები. მალე, მოქანდაკეთა რიგები შეივსო ახალი ძალებით, რომელთაც პროფესიული განათლება საბჭოთა სამხატვრო სასწავლებლებში მიიღეს.

ქანდაკების განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა „მონუმენტური პროპაგანდის გეგმას", რომელიც ვ. ი. ლენინმა წამოაყენა 1918 წელს. ეს გეგმა ითვალისწინებდა მოსკოვში, ლენინგრადსა და სხვა ქალაქებში მემორიალური დაფებისა და ძეგლების შექმნას, სადაც უკვდავყოფილი იქნებოდნენ მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლები, რევოლუციისათვის მებრძოლი გმირები, აგრეთვე, ფილოსოფიური აზროვნების, ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწეები.

XIX საუკუნეში რუსეთში მნიშვნელოვანი ძეგლები აღიმართა. მაგრამ საუკუნის დასასრულისათვის ქანდაკების ამ დარგმა დაცემა განიცადა. „მონუმენტური პროპაგანდის გეგმამ", რომლის განხორციელებაშიც ფართოდ ჩაებნენ მხატვრები, დიდად შეუწყო ხელი ქანდაკების მონუმენტური ფორმების განვითარებას. რევოლუციური თემების გადაწყვეტისას, 20-იან წლებში, მოქანდაკეები ხშირად მიმართავდნენ ალეგორიასა და სიმბოლოს, იყენებდნენ მათ ტრადიციულ სახეებს. შემდგომ კი ძეგლებში წინა პლანზე სახეთა კონკრეტული გადაწყვეტა გამოვიდა.

ამის ერთ-ერთი პირველი მაგალითთაგანია ცნობილი მოქანდაკის ს. კ ო ნ ე ნ კ ო ვ ი ს მიერ ოქტომბრის რევოლუციისათვის დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნის აღსანიშნავად 1918 წელს შესრულებული მემორიალური დაფა რელიეფური კომპოზიციით. ახალი შინაარსი გადმოცემული იყო გამარჯვების ტრადიციული ალეგორიის სახით: ნახევრად შიშველ ფრთოსან ფიგურას ცალ ხელში პალმის ტოტი (მშვიდობის სიმბოლო) უპყრავს, მეორეში — დროშა. იგი წარმოდგენილია ამომავალი მზის ფონზე, რომლის სხივები შეადგენს სიტყვებს: „ოქტომბრის — 1917 — რევოლუცია".

ტრადიციული სიმბოლური გამოსახულების სახით რევოლუციის განსახიერება მოცემულია ნ. ა ნ დ რ ე ე ვ ი ს მიერ პირველი საბჭოთა კონსტიტუციის ძეგლში (მოსკოვი, 1920 წ.). მაღალი ობელისკის ძირას მდგომ ქალის ქანდაკებას — გამარჯვების ალეგორიას — წინ გაწვდილი ხელის გაბედული ჟესტი რომანტიკულ განწყობილებას ანიჭებს. მასში გამარჯვების ზეიმია ხორცშესხმული.

მოქანდაკე ნ. ანდრეევის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პროლეტარიატის ბელადის ვ. ი. ლენინის სახის შექმნაზე მუშაობას. მოქანდაკეს შესაძლებლობა მიეცა ვ. ი. ლენინს ყოველდღიურ ცხოვრებაში, მუშაობის დროს დაკვირვებოდა და ცოცხალი ჩანახატები შეესრულებინა. ამ ჩანახატების საფუძველზე ნ. ანდრეევმა 1924-1932 წლებში შეასრულა სკულპტურული კომპოზიციების სერია, სადაც უშუალოდ დაკვირვება მხატვრულ განზოგადებამდეა აყვანილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქანდაკება „ლენინი — ბელადი"; მასში ძლიერი ნებისყოფისა და ღრმა მოაზროვნე ადამიანის სახეა გადმოცემული. ვ. ი. ლენინის გარეგნულად თავშეკავებული პოზა შინაგანი სიძლიერით არის აღსავსე. მკვეთრად მოხაზული სილუეტი, სახის ნაკვთების ხაზგასმული პლასტიკური ძერწვა გამოსახულებას სიმტკიცის შთაბეჭდილებას ანიჭებს.

20-30-იან წლებში აღიმართა ვ. ი. ლენინის რამდენიმე მონუმენტი. მათ შორის აღსანიშნავია ლენინგრადში, ფინეთის სადგურის წინ დადგმული ძეგლი, რომლის ავტორია მოქანდაკე ს. ე ვ ს ე ე ვ ი. ლენინის ფიგურა დგას ორიგინალურად გადაწყვეტილ პოსტამენტზე, სადაც სხვადასხვა მოცულობისა და სიბრტყეების დაპირისპირება აღნიშნავს ჯავშნოსნის კოშკურას, საიდანაც ვ. ი. ლენინმა, რუსეთში დაბრუნების შემდეგ, 1917 წელს, ისტორიული სიტყვა წარმოთქვა.

მოქანდაკე ი. შ ა დ რ ს განსაკუთრებით იტაცებდა მშრომელი ადამიანების სახეები, რომელთა გამოსახულებას გადმოგვცემს ბიუსტები და ნახევარფიგურები — „მთესველი", „მუშა", „გლეხი", „წითელარმიელი". ქანდაკებაში — „ქვა — პროლეტარიატის იარაღი" (1927 წ.) ამეტყველებულია სახალხო ამბოხების ძლიერება. ახალგაზრდა მუშის ფიგურაში, რომელსაც ქვაფენილიდან ქვა ამოუგლეჯია, ბრძოლისათვის მზადყოფნა არის ხაზგასმული. სხეულის ყოველი ნაწილი, ყოველი კუნთი დაძაბულია. კომპოზიციის კონტრასტულ მიმართულებებზე აგება განსაზღვრავს ფიგურის საერთო ექსპრესიულობას: უკან გაწეული ხელები დიაგონალურად კვეთს მოღუნულ ტორსს, რომლის მოძრაობაც წინისაკენ არის მიმართული. იქმნება შთაბეჭდილება, რომ იგი მზად არის გასწორდეს, თავს დაესხას მტერს. მუშის კონკრეტული სახე ინდივიდუალური პორტრეტული ნიშნებით არის წარმოდგენილი, მაგრამ იგი ამბოხების ზოგად სიმბოლოდ შეიგრძნობა.

ი. შადრის მიერ არის შესრულებული ვ. ი. ლენინის ძეგლი ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურისათვის. 11-მეტრიანი ბრინჯაოს ფიგურა, საგუბარს რომ გადაჰყურებს, კარგად არის ჩაწერილი გარემოში. დიდად მეტყველია ძირს დაშვებული ხელის ჟესტი, რომლითაც ლენინი თითქოს წყლის სტიქიის დამორჩილებაზე მიუთითებს.

მოქანდაკე მ. მ ა ნ ი ზ ე რ ი ცნობილია, როგორც მრავალფიგურიანი მონუმენტური კომპოზიციების ავტორი. უკრაინელი მწერლის ტ. შევჩენკოს ძეგლი, რომელიც 1935 წელს ხარკოვში დაიდგა, რთული, მრავალნაწილიანი ორგანიზმია, რომლის ზედა ნაწილში მოთავსებულია მწერლის სკულპტურული ფიგურა. ასიმეტრიულ, საფეხურებრივად გადაწყვეტილი პოსტამენტის ქვედა ნაწილებში განლაგებული უფრო მცირე მასშტაბის ფიგურები შევჩენკოს ნაწარმოებთა კონკრეტულ გმირებს წარმოგვიდგენს. ამგვარად, მ. მანიზერი სკულპტურული მონუმენტის თემის თხრობითს გადაწყვეტას იძლევა.

საბჭოთა ქანდაკების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ვ. მ უ ხ ი ნ ა მ. მონუმენტურ-განზოგადებული ფორმებისაკენ მოქანდაკის მისწრაფება განსაკუთრებული

10.663

სისრულით გამოვლინდა „მუშისა და კოლმეურნე ქალის“ სახელგანთქმულ სკულპტურულ ჯგუფში, რომელიც 1937 წლის პარიზის მსოფლიო გამოფენის საბჭოთა პავილიონისათვის იყო განკუთვნილი. ფიგურები, რომელთა სიმაღლე 20 მეტრს აღემატებოდა, პავილიონის არქიტექტურას აგვირგვინებდა (არქიტექტორი ბ. იოფანი), ნაგებობის საფეხურებრივად განლაგებული მასების ვერტიკალურ მიმართულებას ორგანულად ამთავრებდა. მუშისა და კოლმეურნე ქალის ფიგურებს ერთიანი სწრაფვა მოიცავს; ფართოდ გადადგმული ნაბიჯი, უკან გადაწეული ხელები, გაფრიალებული ტანსაცმელი ენერგიული მოძრაობის გადმოცემას ემსახურება. მათ მაღლა აღუმართავთ ნამგალი და ურო; სახეებში გამარჯვების ურყევი რწმენა იგრძნობა. ქანდაკებები ზოგადად არის დამუშავებული, რაც მათ მონუმენტურობას ანიჭებს. მოქანადაკემ აქ უჩვეულო მასალა — უჟანგავი ფოლადის ფურცლები გამოიყენა, რაც გამოსახულებას თავისებურ იერს აძლევდა და განზოგადებული ფორმების პლასტიკურობას ხელს უწყობდა. ვ. მუხინას სკულპტურული ჯგუფი საბჭოთა ქანდაკების დიდი მიღწევების მაჩვენებელი იყო, იგი არქიტექტურისა და სკულპტურის ორგანული სინთეზის ამოცანის გადაწყვეტის მნიშვნელოვანი მაგალითია.

ვ. მუხინა პორტრეტული ქანდაკების დარგში ბევრს მუშაობდა. პორტრეტში იგი პიროვნების ყველაზე უფრო არსებით მხარეს უსვამდა ხაზს.

ფორმების მკაფიო პლასტიკური ძერწვით გამოირჩევა მოქანდაკეს ს. მ ე რ კ უ რ ო ვ ი ს ნამუშევრები. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სტეფანე შაუმიანის პორტრეტი.

ძლიერი ინდივიდუალურობით არის აღბეჭდილი ს. კ ო ნ ე ნ კ ო ვ ი ს შემოქმედება, რომელიც ჯერ კიდევ რევოლუციისწინა პერიოდში ჩამოყალიბდა. კონენკოვის ნაწარმოებებში თავიდანვე გამომჟღავნდა ღრმად ხალხური სახეებისა და ეროვნული ფორმების ძიება, რაც თავს იჩენს მოქანდაკის ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედების მთელ მანძილზე. კონენკოვი ცდილობდა ხისაგან ტლანქად გამოკვეთილ, მაგრამ თავისებურად მეტყველ ფიგურებში რუსულ ხალხურ სათამაშოებთან სიახლოვისათვის მიეღწია. ეს ფიგურები გადმოსცემს ხალხური ფანტაზიით შექმნილ პერსონაჟებს: ტყის კაცს, ალს... დიდი სიყვარულით გამოხატავს მოქანდაკე რუსული ზღაპრების გმირებს, უბრალო ადამიანების სახეებს („ქვისმთლელი“, „ეგორიჩი — მეფუტკრე“, „ბიძა გრიგოლი“). რუსეთის პროფესიონალ მოქანდაკეთაგან მან პირველმა მასალად თანმიმდევრულად გამოიყენა ხე, რომლის თვისებებს იგი გამოსახულების გამომხატველობის მიზნებისათვის იყენებდა. ხის ნაჭრის დაუმუშავებლად დატოვებული ნაწილები გამოსახულების ფორმებს ერწყმის. ზედაპირის დამუშავების ხასიათით შუქ-ჩრდილის მოუსვენარი თამაშია ხაზგასმული.

ს. კონენკოვმა ბევრი იმუშავა სტეფანე რაზინის ძეგლზე, რომელიც ფართოდ იყო ჩაფიქრებული და, რომლისათვისაც მხატვარმა ხისაგან რამდენიმე ქანდაკება გამოჭრა.

1923-1946 წლებში ს. კონენკოვი საზღვარგარეთ ცხოვრობდა, მაგრამ მის შემოქმედებას სამშობლოსთან კავშირი როდი დაუკარგავს. ამ პერიოდში და საბჭოთა კავშირში დაბრუნების შემდეგ იგი ქმნის შესანიშნავ პორტრეტებს, რომელთაც ღრმა ფსიქოლოგიზმი ახასიათებს.

თ. დოსტოევსკის პორტრეტში მოქანდაკემ შესძლო გადმოეცა რთული შინაგანი სამყარო გენიალური მწერლისა, რომელიც ჩასწვდა ადამიანის სულის სიღრმეს. მწერლის სახე, მაღალი შუბლი ძლიერი ინტელექტით არის აღბეჭდილი, ხოლო ღრმად ჩაცვენილი თვალებისა და მჭიდროდ მოკუმული ტუჩების გამომეტყველებაში მტანჯველი მერყეობა იგრძნობა. წინ გაწვდილი, ერთმანეთზე გადაჭდობილი ხელების უესტი შინაგანი დაძაბულობით არის აღსავსე.

საერთოდ, ადამიანის სულიერი სამყაროს გახსნისადმი ინტერესი დამახასიათებელია ს. კონენკოვის შემოქმედებისათვის. იგი მჟღავნდება მრავალრიცხოვან პორტრეტებში (ფილოსოფოს სოკრატეს, მწერალ ლ. ტოლსტოის პორტრეტები).

საბჭოთა პორტრეტული ქანდაკება მრავალფეროვნებით ხასიათდება. ლირიკული განწყობილებით აღსავსე პორტრეტების (მაგალითად, ს. ლებედევას ქალიშვილის პორტრეტი) გვერდით ვხვდებით პორტრეტებს, რომლებშიაც რომანტიკული მხარეა ხაზგასმული.

დიდი სამამულო ომის წლებში ძლიერად გამომჟღავნდა გმირულ, ამაღლებულ სახეთა შექმნისაკენ, ჰეროიკული პორტრეტისაკენ მისწრაფება. მოქანდაკეებმა შექმნეს საბჭოთა მეომრების, მხედართმთავრების, პარტიზანების პორტრეტების ციკლი. ამდროის ფიგურებსა და კომპოზიციებში აღბეჭდილია გამარჯვების რწმენა. ამ მხრივ საკმარისია დავასახელოთ მოქანდაკე ე. ბ ე ლ ა შ ო ვ ა ს მიერ შესრულებული ფიგურა „დაუმარცხებელი“.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლისა და გამარჯვების თემატიკა ომისშემდგომ წლებშიაც დგას მოქანდაკეთა ყურადღების ცენტრში.

1949 წელს ბერლინში, ტრეპტოვის პარკში, გაიხსნა მეომარ-განმათავისუფლებლისადმი მიძღვნილი გრანდიოზული სკულპტურული ანსამბლი. ამ ანსამბლზე, მოქანდაკეთა დიდ კოლექტივთან ერთად, მუშაობდა ცნობილი სკულპტორი ე. ვ უ ჩ ე ტ ი ჩ ი. ქანდაკებები პარკის ლანდშაფტისა და არქიტექტურის მთლიანი გეგმის შემადგენელი ნაწილია. მაყურებელი გარკვეული თანმიმდევრობით აღიქვამს დედა-სამშობლოს ქანდაკებას,



ს. კ ო ნ ე ნ კ ო ვ ი. ქვის მთლელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვ. მუხინა. გლეხი ქალი.

გაპრიალებული გრანიტისაგან გამოკვეთილი უზარმაზარი დროშების წინ მუხლმოყრილ მეომრებს და, როგორც თემის კულმინაციურ წერტილს, საბჭოთა მეომრის — განმათავისუფლებლის ბრინჯაოს ფიგურას, რომელიც საფეხურებიან მავზოლეუმზეა აღმართული. ძეგლის ძირითადი შინაარსი სწორედ მეომრის ამ გამოსახულებით არის ხაზგასმული. საბჭოთა ჯარისკაცს ცალ ხელში მახვილი უპყრია, მეორე ხელით ბავშვი უჭირავს. ე. ვუჩეტიჩის ხელს ეკუთვნის კომპოზიცია — „გამოვჭედოთ მახვილებისაგან სახნისები“ (1957 წ.), რომელიც მშვიდობიანი შრომისაკენ პათეტიკურ მოწოდებად ჟღერს.

საბჭოთა ხელოვნება თავიდანვე მრავალეროვნულ ხელოვნებად ვითარდებოდა. უკრაინაში, სომხეთში, საქართველოსა და სხვა რესპუბლიკებში ქანდაკებას XIX საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი, მაგრამ სრული გაქანება მან საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჰპოვა. ქანდაკება ჩაისახა და განვითარდა იმ რესპუბლიკებშიაც, სადაც რევოლუციის წინა წლებში იგი არ არსებობდა (შუა აზიის რესპუბლიკები). საბჭოთა ხელოვნების საერთო განვითარებაში აქტიურად ჩაებნენ ბალტიისპირეთის ხალხები. ქანდაკება თვითეულ რესპუბლიკაში მკაფიოდ ეროვნულია.

მოქანადაკეთა შემოქმედება განსაკუთრებული ძალით ომისშემდგომ წლებში გამოჩნდა, როდესაც მათს რიგებს ახალი, ნიჭიერი კადრები შეემატა.

უკნასკნელ ათწლეულში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში მრავალი მნიშვნელოვანი მონუმენტი აღიმართა. ა. პუშკინის ქანდაკება ლენინგრადში მშვენივრად ეხამება ქალაქის არქიტექტურული ანსამბლის ხასიათს. ქანდაკების ავტორია მ. ა ნ ი კ უ შ ი ნ ი. რევოლუციის მგზნებარე პოეტის ვ. მაიაკოვსკის ფიგურა, რომელიც 1958 წელს მოსკოვში, მაიაკოვსკის სახელობის მოედანზე აღიმართა, მოქანდაკე ა. კ ი ბ ა ლ ნ ი კ ო ვ ი ს ხანგრძლივი მუშაობის შედეგია. მაიაკოვსკი წარმოდგენილია მისთვის დამახასიათებელი პოზით, რომელშიაც შინაგანი დინამიკა იგრძნობა. მკვეთრად გამოკვეთილ, ენერგიული სახის ნაკვთებში პოეტის მებრძოლი სული, შემართება და ნებისყოფაა აღბეჭდილი. ქანდაკებაში პორტრეტული მსგავსება ხასიათის გაგებაგადმოცემასთან არის შერწყმული.

საინტერესოდ გაუაზრებია ლ. კ ე რ ბ ე ლ ს კ. მარქსის ძეგლი (მოსკოვი, 1961 წ.). პორტრეტი და კვარცხლბეკი გრანიტის მთლიანი ლოდისაგან არის გამოკვეთილი, რაც კომპოზიციას განსაკუთრებულ მონოლითურობას ანიჭებს. ბიუსტის განზოგადებული გადაწყვეტა, დიდი გეომეტრიული სიბრტყეების გამოყენების საშუალებით, შეესატყვისება კვარცხლბეკს, რომელსაც ნაწილობრივ შენარჩუნებული აქვს დაუმუშავებელი ლოდის სახე.

უკანასკნელ ხანებში მონუმენტურ ქანდაკებაში მკაფიოდ აღინიშნება თემის განზოგადებული გადმოცემისაკენ მისწრაფება, ლაპიდარული მხატვრული ენის ძიება. პორტრეტული მონუმენტის გვერდით მნიშვნელობა ენიჭება ალეგორიულ, განზოგადებულ სახეებს, მაგრამ ეს სახეები თანამედროვე, უაღრესად ლაკონური და ამასთანავე მეტყველი ფორმებით არის გადაწყვეტილი.

ლიტველმა მოქანდაკემ გ. ი ო კ უ ბ ო ნ ი ს მ ა ფაშისტების მსხვერპლთა ძეგლში (ლიტვის სოფელი პირჩიუპისი) თემა გლეხი ქალის — დედის კრებითი სახით გამოხატა. მკაცრ ვერტიკალს დაქვემდებარებული ფიგურის კონტური შეკრულია, რაც ქანდაკებას მხატვრულ დასრულებასა და მდგრადობას ანიჭებს. ვაკე ადგილას მოთავსებული ქანდაკების სადა, მაგრამ მეტყველი სილუეტი მკაფიოდ და ნათლად იკვეთება ცის ფონზე. გლეხ ქალს უბრალო თავშალი აქვს მოხვეული. იგი დაღუპულებს დასტირის და ამიტომ არის, რომ მის სახეზე მწუხარებაა აღბეჭდილი, მაგრამ, ამასთანავე, მჭიდროდ მოკუმულ ტუჩებსა და მუშტებად შეკრულ ხელებში სიმტკიცე და შეუდრეკელი ძალაა ხაზგასმული.

მონუმენტური ფორმების ლაკონიურობა ბევრი ნამუშევრისათვის არის დამახასიათებელი. ასეთებია, მაგალითად, რევოლუციონერების ძეგლი რიგის სასაფლაოზე (მოქანდაკე ლ. ბ უ კ ო ვ ს კ ი), ფაშიზმის მსხვერპლთა ძეგლი ტარტუს მახლობლად (მოქანდაკე ე. რ ე ბ ა ნ ე). ეს ძეგლები რელიეფური კომპოზიციების სახით არის გადაწყვეტილი.

მონუმენტის გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა მოიპოვა თანამედროვე არქიტექტურულმა ფორმებმა, რომლებიც ხშირად საერთო კომპოზიციის მთავარი ელემენტია. კოსმოსური სივრცის ათვისებაში საბჭოთა ხალხის მიღწევებისადმი მიძღვნილ მონუმენტში (მოქანდაკე ა. ფ ა ი დ ი შ ი. 1964 წ.) კომპოზიციას განსაზღვრავს 60 მეტრის სიმაღლეზე ატყორცნილი ლითონის ისარი — ობელისკი, რომელსაც რაკეტა აგვირგვინებს. იგი კოსმოსში ადამიანის შეჭრის გრანდიოზულ სიმბოლოდ გვევლინება. პოსტამენტზე გამოკვეთილ რელიეფებში მოქანდაკემ ალეგორიული ფიგურები გამოიყენა.

როგორც ვხედავთ, უკანასკნელ პერიოდში მონუმენტის პრობლემა უფრო გაფართოვდა.

პორტრეტულ ქანდაკებაშიც თავს იჩენს განზოგადებული, მეტყველი სახეებისაკენ მისწრაფება.

საბჭოთა ქანდაკებამ ნახევარსაუკუნოვანი განვითარების რთული გზა განვლო. ამ ხნის მანძილზე შეუდარებლად გაიზარდა მოქანდაკეთა რიგები, რომელთა შემოქმედებაც თანამედროვეობის მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტას ემსახურება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემი არდადეგები

ლამარა გვაზავა-სანაძე

მოთხრობა

მხატვარი სპარტაკ ცინცაძე

ხვალ დილით სოფელში ვიქნები... სიხარულისაგან ტანში ჟრუანტელი მივლის. წარმოიდგინეთ, თვალის ერთი დახუჭვა-გახელა და... ჩემს საყვარელ ბებიას, ჩემს კეთილ ბაბუას ვნახავ. რა სჯობს ახლა სოფელში მათთან ყოფნას!.. ვინ დაგაძალებს იქ, გინდა თუ არა, გოგლიმოგლი ჭამეო. რამდენიც გსურდეს, ირბინე ფეხშიშველა, იჭყუმპალავე გუბისწყალში... ნეტა ამდენ ხანს რასა დგას ეს მატარებელი!.. ჩქარა, ჩქარა დაიძრას!

დედა გულმოდგინედ არიგებს ჩემს უფროს ძმას, ანდუყაფარს: ანდუ, შენი ჭირიმე, ნანუკას მოუარეო. ნეტავ მოსავლელი რა მჭირს? ლოგინის გაშლა-გასწორება ვიცი, საოჯახო საქმეებიც მეხერხება; ნამცხვრის გამოცხობაც ვიცი და კაბა-პერანგის გამოჭრაც. კვეხნად არ ჩამითვალოთ და, მასწავლებლები სამაგალითო მოსწავლეს მეძახიან. მეშვიდე კლასში ქების სიგელით გადავედი. დედაჩემი კი ქვეყნის ხალხში ჩამდგარა და ჩემს ძმას მეათედ ეუბნება: აბა შენ იცი, შვილო, შენი და პატარაა, თვალიდან არ მოიშორო. თუმცა, ვიცი, ამას ჩემი სიყვარულით ამბობს, მაგრამ მაინც არ მესიამოვნება, პატარას რომ მიწოდებს.

უჰ, როგორც იქნა! — ვაგონის გამყოლი გამცილებლებს აფრთხილებს, მატარებელი სამ წუთში დაიძვრებაო. დედა გვკოცნის, მამაც გვემშვიდობება და, მალე სადგურის ბაქანი თვალს ეფარება...

უკვე ერთი კვირაა, სოფელში რომ ჩამოვედით მე და ანდუყაფარი.

დილით, ავდგები თუ არა, იხვის ჭუკებს ცომში აზელილი ჭინჭრით ვაპურებ, წიწილებს ღერღილს ან ფეტვს ვუყრი და ისინიც მხიარული წიწინით კენკავენ. ზოგჯერ სული წამძლევს და ბუმბულას ხელისგულზე ვისვამ. კრუხი შეშფოთებული ქოთქოთებს. შემდეგ სახბორიდან ზმორებით გამოსულ ფუჩინას ვიჭერ და მის ლუნლულა ქედს ლოყებით ვეალერსები. ქართაში დაბმული ძროხა ზრუტუნებს. დედის ხმაზე ფუჩინა ხელიდან მისხლტება და ბუნდრუკით ბაკის კარს აწყდება. მე ცოცხს ვიღებ და წინკარს ვგვი.

— ჩემი თვალის სინათლე! ჩემი მარჯვენა ხელი! — მეფერება ჩატუ ბებია.

არც ანდუყაფარია უსაქმოდ.

— მოდი, ჩემო ვაჟკაცო, სამზადის იატაკი მომასწორებინე, — ეუბნება უთუთია ბაბუა. იგი ფეხებაკაპიწებული თიხას ზელავს. ანდუც სიამოვნებით ეხმარება ბაბუას.

წლეულს აქ უსაშველოდ გრძელი ზამთარი ყოფილა. დიდ ზამთარს მეაბრეშუმე ქალებიც დაუღალტიანებია. მხოლოდ ახლაღა არიგებენ იობის მატლებს (ამას აბრეშუმის ჭიას ეძახიან ჩვენს სოფელში). მარიკა გაფაციცებით ემზადება მურის მისაღებად. საჭიე ოთახი უკვე გამზადებული აქვს. მარიკა ჩემი კბილა გოგოა. ისიც ფრიადოსანია. მას ყველანი „ობოლ მარიკას“ ეძახიან, თუმცა ტყიბულში მამაც ჰყავს და დედინაცვალიც. თვითონ სულ აქ არის, სოფელში. მოხუცებულ ბებიას თავს ვერ ანებებს.

— აბრეშუმის ჭიას საძაგელი ავადმყოფობა — „პებრინი“ უჩნდება, ამიტომ საჭიე ოთახში ყველაფერი საპნიანი წყლითა და ფორმალინის ხსნარით დავრეცხე; ხომ იცი, სიფრთხილეს თავი არ ასტკივა, — ჭკუადამჯდარ მეაბრეშუმესავით მსჯელობს იგი.

ნაშუადღევს ხელის ურიკა ჩვენს ჭიშკართან შეჩერდა, ქალების ამალაც თან მოჰყვა.

— დეიდა ჩატუ, უარს ნუ გვეტყვით, თუ მთელ ნორმას ვერ მოუვლით, ცოტათი მაინც შეგვაშველეთ ხელი, — სთხოვა მერგოლეურმა ბებიას.

— ჯანი არ მომდევს, შვილო, და, რა ვქნა! — ამოიოხრა ბებიამ. — როცა შემეძლო, თუთის პლანტაციაც კი საკუთარი ხელით გავაშენე. ახლა დავბერდი, გავტყდი და სადა მაქვს ჭიის მოვლის თავი!

— მე მოვუვლი, ბებია, შენ ოღონდ დაიტოვე. — ახლა მე ვთხოვე.

— აბრეშუმის ჭია თოთო ბალღივით მოსავლელია, შენ რა შეგიძლია. — კვლავ უარზეა ბებია.

— თქვენ დარდი ნუ გაქვთ, მე ვასწავლი, მოვეხმარები კიდეც, — გვერდით მარიკა დამიდგა. ბებია ისევ ორჭოფობს.

— ნახე, როგორი ყოჩაღია ეს პატარა გოგო, თავისთვის 15 გრამი მური აიღო. შარშანაც ჯილდო მიიღო, — აქებს მარიკას ერთი მეაბრეშუმე ქალი.

— მეც მომეცით 15 გრამი! — ისე შევყვირე, რომ ქალებს გაეცინათ. შენ ათიც თავს გადაგივაო, მითხრეს. მუყაოს კოლოფი მოწიწებით გამოვართვი. ურიკა დაიძრა და ქალების ამალაც თან გაიყოლია.

— უჰ, რა პაწაწინებია! — გაოცებით დავყურებ მოშავო ფერის მურს.

— მალე დაიზრდებიან. ტანზე შავ ხალებსაც დაიყრიან. აი, მაშინ ნახე, ნეშოთი ვერ გააძღობ. — იცინის მარიკა. — დაჭრილი ფურცელი დღეში ათჯერ მაინც უნდა აჭამო, ღამე კიდევ — ორ-სამჯერ.

საჭიე ოთახში შევდივართ. მარიკა თუთის ქორფა ფოთლებს დანით წვრილად სჭრის და ფუნელაზე მოფუთფუთე მურს ფრთხილად აყრის.

ბებიამ ოთახში თერმომეტრი დაჰკიდა.

— ამ გასაწყვეტებს სითბო უყვართ. ღამე ღუმელის დანთებაც მოგვიწევს.

— ღამე შენ არ გაგაღვიძებ, მე თვითონ დავანთებ, ბებიკო. შეშასაც ახლავე მოვამზადებ, — ვიძახი მე და საჩეხში გავრბივარ. იქ დაპობილი მორებია ახორავებული.

— ნუნუკა, ფუთქი გამოიძღვანიე, გამხმარი ფიჩხები. — მომძახის ბებია.

საჭიე ოთახში ღუმელს ვდგამთ. მარიკას ფსიქომეტრი მოაქვს.

— ეს რისთვის გინდა? — გაკვირვებული ვეკითხები.

— ჰაერის ტენიანობაც უნდა ვიცოდეთ, — ამბობს მარიკა და მიხსნის, რომ, თუ ჰაერი ზომაზე მეტად არის გამომშრალი, მაშინ ჭიის სადგომში სველ ზეწრებს აფენენ, თუ ზედმეტად ნოტიოა, — ღუმელს ახურებენ.

— აბრეშუმის ჭიის რამდენიმე ჯიში არსებობს. — დინჯად განაგრძობს მარიკა.



— ჩვენი რომელი ჯიშია?

— ჩვენი ჭია თეთრპარკიანია. ფრანგულაც არის, ის იტალიური ჯიშია. მაღალხარისხოვან აბრეშუმს იძლევა და წვრილი, ყვითელი პარკი აქვს.

— შენ რა იცი ეს? — მაკვირვებს ჩემი ტოლი გოგონას ასეთი განსწავლულობა.

— წიგნებში წამიკითხავს, — მიღიმის მარიკა, — თუ გინდა, გათხოვებ.

მე, ცხადია, მადლობის მეტი რა მეთქმის.

შეღამების წინ გოგო-ბიჭები სოფლის დიდი ჭადრის ქვეშ ვიყრით თავს. აქ მოდიან სოსიკო, მოჭადრაკე ფრიდონა, ყუფარდეანთ გოგია. ტარიელიც მუდამ ჩვენთან არის, მაგრამ ახლა უბელო ცხენზე გადამჯდარა და გუბისწყლისკენ მიაგელვებს.

— შეხედეთ, როგორ მიათოხარიკებს! — სიცილი დააყარეს ფეხშიშველა მხედარს.

ტარიელი ჩვენსკენ შემობრუნდა, ენა გამოგვიყო და ჭაკს ჩაზნექილ ფერდებში გამეტებით ჩასცხო ქუსლები.

აქ არის პრანჭია როენაც. მას თბილისელობით მოაქვს თავი და მხოლოდ ანდუყაფართან მეგობრობს, ესაათ და მეათეკლასელები ვართო, დანარჩენებს ცხვირის წვერზეც არ გვისვამს. კისერზე ოქროს წვრილი ძეწკვი ორკეცად შემოუხვევია, რქის სარჭით დამაგრებული თმა ჩალისფრად აქვს შეღებილი.

— როენა, გენაცვალე, ეგ თმა, კეფაზე რომ გაქვს დაზვინული, ქარმა არ მოგტაცოს, ფრთხილად იყავი! — ეუბნება ენამწარე გოგია. ჭადრის ქვეშ ხარხარი ატყდა.

— ეს ბედასლიც რომ ენაფხიანობს! — გაწიწმატდა როენა და წასვლა დააპირა. იგი ძალით დასვეს ძელსკამზე.

მარიკა მოგვიანებით შემოგვიერთდა.

— დააპურე? — ვეკითხები მას.

— დავაპურე და ჩალის ღერებიც მოვიმარაგე.

— ვაიმე, ჩალის ღერები მე რომ არა მაქვს?

— შენთვისაც შევინახე. ხვალიდან ჩაფარებს შევკრავთ.

მეორე დღეს მართლაც დავიწყეთ ჩალის ღერების გადარჩევა, მათი ერთ ზომაზე დაჭრა-გასუფთავება. თუთის ქღვერთები დავალბეთ. მარიკამ ორი ჯოხი კედელზე დამრეცად დაამაგრა და ჩაფარების შეკვრა დაიწყო. ისე მოქნილად ათამაშებდა თითებს, თითქოს არფას უკრავდა.

— ვინ გასწავლა ჩაფარის დაწვნა? — ვეკითხები.

— მაგას რა დიდი სწავლა უნდა! ოღონდ მოინდომე და, — უბრალოდ ამბობს მარიკა.

— მეც მოვინდომებ, აუცილებლად მოვინდომებ, — ვიძახი მე. მარიკას ეცინება და ჩაფარის შეკვრას მასწავლის.

ბებია ზოგჯერ დაგვხედავს და ისევ გაუჩინარდება. უთუთია ბაბუას ფათხა უჭირავს და ჩასადგამ ბადეს ჰქსოვს.

— მე და ჩემი ბიჭი სათევზაოდ მივდივართ. — ამბობს იგი. ანდუ სიხარულით ცასა სწვდება:

— ანკესებიც წავიღოთ. ანკესებით იოლია თევზის ჭერა.

— მეც წამიყვანეთ, რა! — ვეხვეწები.

— შენ შინ დაეტიე. ქალის საქმე არ არის თევზაობა. — მიტევს ძმა.

— ნუნუკა, ჩვენს თხილნარში ჭინჭრელებს ბარტყები ჰყავს, წავიდეთ, გაჩვენებ. — გულს მიკეთებს მარიკა.

— ჭინჭურელე რაღაა?

— ბეღურაა, შვილო, ამოწყდა მისი ჯილაგი! — ამბობს ბებია.

მიწაზე ფეხი არ დამიკარებია, ისე გადავევლე ალაგეს.

— იმ ჟალტამში უხსენებელმა არ გიკბინოთ. — მოგვძახის ბებია.

მივრბივართ მოშამბულ კვლებში. ვენახის ბოლოში ატეხილი თხილნარია. ბეღურები საშინელი წიაქით შემოგვევგებნენ. მივხვდი, ესენი იმ ბარტყების მშობლები იყვნენ.

— ჩვენ ხელი არ ვახლოთ, — ჩავჩურჩულე მარიკას. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს სხვისი ოჯახის გასაძარცვავად მივდიოდი. მაგრამ ცნობისწადილი მაინც წინ მეწეოდა.

— აი, ამ ბუჩქთან! — თქვა მარიკამ.

სულგანაბული მივუახლოვდი. აგერ, ბუდეც! გაფაციცებით ჩავხედე. ცარიელი იყო...

— ვაიმე, დაუხოცნიათ!.. — წამოიკივლა მარიკამ.

მართლაც, ბალახებში თავდაკორტნილი ბარტყები ეყარა. იქვე კი ბეღურების წივწივი არემარეს აყრუებდა.

— ნახე, მაგ ვერაგებს რა უქნიათ?! — ბოღმა ყელში მომაწვა.

— ჩემი ბრალია! ალბათ ეგონათ წავართმევდი. — ოხრავს მარიკა.

„ბუდეს არასოდეს გავეკარები“ — ვფიქრობ მე.

გულდამძიმებულნი ვბრუნდებით შინ.

●

ჩვენი აბრეშუმის ჭია უკვე მეოთხე ასაკშია. მის მოვლას ახლა ათჯერ მეტი შრომა უნდა: — ნაძირის გამოცვლაო, ეს — ჩელტებსა და ჩაფარებზე ჭიების გამეჩხერებაო. მართალია, ახლა ყლორტებს დაუჭრელად ვადებთ, მაგრამ არ იკითხავთ, რამდენ ფოთოლს ნთქავენ?! მარიკამ, ჯერ სადა ხარო, შენ მაშინ ნახე, მეხუთე ასაკში რომ შევლენო. ახლა მთავარია, ამინდმა შეგვიწყოს ხელი, წვიმები თუ დაიჭირა, ძნელია ფოთლის გაშრობა, სველ ფოთოლს კი ჭიას ვერ გააკარებო.

ჩვენი ჭიები დაიზარდნენ, გათეთრდნენ, ხალებიც გაუმუქდათ. მოჯადოებულივით სულ მათთან ვტრიალებ.

— ჩემო ღორმუცელებო, თქვენა ხართ ყალამქარი, შეიდიში, მერდინი, ქალაღაია... — ვესიყვარულები თვალაუხილავ ზლაზნიებს. მარიკა მარწმუნებს, აბრეშუმის ჭიას მხედველობა აქვს, თავზე რომ ექვსი ხალი აყრია, — თვალებიაო. ალბათ მართლაც ასეა.

შრომაში მიფრინავენ ჩემი არდადეგების დღეები. დილით ბებია არ მაღვიძებს, ვეცოდები. მაგრამ მე სასთუმალთან მაღვიძარა მიდგას და ადრე ვტოვებ ლოგინს.

— რად გაიწვალე, შვილო, თავი. — ოხრავს ბებია.

— გაისად უფრო ბევრ ჭიას მოვუვლი. — ვიცინი მე.

●

მეხუთე ასაკში ჭიებმა მეხუთედ გამოიცვალეს კანი, თან საოცრად გაიზარდნენ, ერთმანეთში ჩაიხლართნენ, ჩაფარები პირთამდე აავსეს. ისევ დავიწყეთ ნაძირის გამოცვლა და გამეჩხერება. ჩელტები და ჩაფარები საჭიეო ოთახში ვერ ეტეოდა. გადავწყვიტეთ ჭიები სამზადშიც ჩამოგვეყვანა. ჩატუ ბებიამ სამზადი დაცალა. მარიკას მეხმარეთავისი საქმეც თავსაყრელი აქვს, მაგრამ მაინც მეხმარება. სამზადის ძელები საპნიანი წყლით დავრეცხეთ, კედლები ჩამოვხვეტეთ, ყველა ყურე-კუნჭულს ცოცხი მივაწვდინეთ და ობობას ფეხმოსაკიდი მოვუსპეთ. ბაბუა და ანდუყაფარიც ჩავაბით საქმეში. მათ ჩამოხვეტილი დირეებიდან თოკები ჩამოუშვეს, მარყუჟებში თავწაყოფილსა და საბელით შეკრულ-შეკოჭილ ძელებზე გარდიგარდმო ლარტყები დაამაგრეს და ჩელტებისათვის „სართულებიანი“ სარწეველა გააკეთეს. „სართულებს“ ანუ თაროებს შორის მანძილი თურმე ნახევარი მეტრი მაინც უნდა იყოს. იატაკიდან კი — ცოტათი მეტიც. ბებია თავზე ადგას მამაკაცებს და ყველაფერი, როგორც რიგია, ისე კეთდება.

რამდენიმე ჩელტის დაწვნა კიდევ დაგვჭირდა. აქაც მარიკა დაგვეხმარა. მე ძალიან გამიჭირდა წნელის დაგრეხა. მოქნილი წკეპლა მკლავებსა და სახეში მათრახივით მიტლაშუნებს.

— ჩელტის ღობვა გამოცდილ კაცსაც უჭირს, თავი დაანებე. — მითხრა ბებიამ. მაგრამ, საქმემ როგორ უნდა დამჯაბნოს-მეთქი, ვიფიქრე და ღვლერჭებს, რაც ძალი და ღონე მქონდა, გრეხვა დავუწყე. შუადღემდე, როგორც იქნა, ორმეტრიანი ჩელტი მოვჩხლართე. გახალისებულმა კვლავ დავიწყე ახალი ჩელტის დაწვნა. ბებიამ თუთის წვრილ-წვრილი წნელები საგანგებოდ შემირჩია და საქმეც წინ წავიდა.

ამასობაში მზე ხის კენწეროებიდან გადაცურდა, სახლების სახურავებიდან, მთებიდან გადაგორდა და დღის სიხასხასეს ერთბაშად ბინდი წაეპარა. მიწყდა ხბოს მოცილებული ძროხის ზმუილი, კრუხ-წიწილების კრიახი, ღორების ჭყვირილი და სოფელში მყუდროება დამკვიდრდა.

●

— ჩატუ ბებია! აგერ, ფელა... ფელა!.. — ყვირის მარიკა.

— რაა ფელა? სად არის? — ვიძახი მეც.

თურმე ობობას თეთრ ქსელსა ჰგავს ფელა.

— აბრეშუმის ჭია ცახზე ჯერ ფელას ქსოვს, შემდეგ ამ თხელ ბადეში პარკს ახვევს. — მიხსნის მარიკა.

მართლაც, უთვალავი კისერწაგრძელებული ჭია გამჭვირვალე ქსელს აბამს.

— ძლივს არ დაადგა საშველი! — გახარებულია ბებია, — ეს ქარფიონიც პირდაპირ წამალივით არის გამოწერილი. ამათ ორ დღეში არეკავს, ცახსაც გააშრობს, — ამბობს იგი და წინდაწინ მომზადებული ცახი გასაშრობად მზეზე გაგვაქვს. გაფიცხებულ გვირილებს, ჩინარის ტოტებსა და ფიჩხებს თაიგულებად ვკრავთ. შემდეგ ბებია მათ ლასტებს შორის ფრთხილად აწყობს. რამდენიმე საათში ცახები აბრეშუმის ლიანებში ეხვევა, ქათქათა ფთილებით იფარება. ორ-სამ დღეში კი მთელი სამზადი გადათეთრდა. გადახასხასდა. მუქად შებოლილი კედლები აბრეშუმით დაიქსელა და პარკებით მოიხატა. ყველგან — კოჭებზე, ფანჯრის რაფაზე, თოკებზე და წარმოიდგინეთ, ოჯინჯალაზე ჩამოკიდებულ ნაჭაზეც კი, პარკები მითოვლილა. ზოგი ზანტი ჭია კი ზედ ნაძირზე იმზადებს „ყანაოზის“ საძინებელს.

ანდუყაფარს ბროშურა უჭირავს ხელში და გამომცდელად მეკითხება:

— რისთვის იყენებენ აბრეშუმს?

— როგორ თუ რისთვის? ლამაზი კაბები, თავსაფრები, საბნები სულ აბრეშუმისაგან არის ნაქსოვ-ნაქარგი.

— კიდევ?

— წინდები, ხელთათმანები, პერანგები...

— კიდევ?

— კიდევ?.. არ ვიცი.

ანდუყაფარმა სტრიქონებს თვალი გააყოლა:

— „ნატურალური აბრეშუმის ბოჭკო გამოიყენება ქირურგიაში, კავშირგაბმულობაში, რადიოტექნიკაში, ავიაციაში“.

— სულ ეს არის?

— „ჭუპრისაგან ამზადებენ საპონს, მეთევზეები ანკესებზე წამოსაგებად იყენებენ“...

— ხომ არ წამიყვანეთ სათევზაოდ! ახლა ერთ ჭუპრსაც არ მოგცემ — ნიშნს ვუგებ ანდუყაფარს. პასუხად ჩემი ძმა მხოლოდ ხარხარებს. სამზადში კი ისმის ამხვევი ჭიების ნელი შრიალი, ლაფაროში ჭრელი დედალი კაკანებს...

აჴას წინათ ჩატუ ბებიამ ფანჯრებს ფარდები ჩამოაფარა: აბრეშუმის ჭიას სინათლეზე ნერვები ეშლებაო...

— ჭიის ნერვები სად გაგონილა, ბებია?! — ვიცინი მე.

— ნერვები ყველა სულდგმულს აქვს, — გულდაჯერებით ამბობს ბებია. ბებიას აგრონომიც ემოწმება, რომელიც იმ დღეს ჩვენი ჭიების დასახედავად გვესტუმრა.

საჭიე ოთახში ბინდისებური სინათლე იყო, ოღონდ ერთი ჭუჭრუტანიდან შემოჭრილი კაშკაშა შუქის ზოლი ჩელტზე გრძლად ეცემოდა. ნათელ ზოლში არცერთი ჭია არ ჩანდა.

— ბებია, ხედავ, ქათმებს აუკენკავთ! — წამოვიძახე.

— ქათმებს კი არ აუკენკავთ, ჭიები სინათლეს გაქცევიან, — თქვა აგრონომმა, — ამხვევი ჭია მგრძნობიარეა, სინათლის ცვალი, ჰაერის ტემპერატურისა და წნევის რყევა ნერვებს უღიზიანებს. ახვევისას მათ ხეტიალიც უყვართ, თუ ცახი დროზე არ მივაწოდეთ.

— ცახი რომ არ ჩავდგათ, ესენი უპარკოდ დარჩებიან? — ვკითხე.

— აბრეშუმით პირგამოვსებული ჭია უპარკოდ რავა დარჩება, — მომიგო ბებიამ, — მარა კვერცხისმდებელი ქათამივით წრიალს დაიწყებს და, სადაც მოიხელთებს, იქ ტკეჩიანსა და მახინჯ პარკს გააკეთებს. პარკი კი სუფთა და ფორმიანი უნდა იყოს.

აგრონომმა აბრეშუმის ისტორიაზე ბევრი საინტერესო რამ მიამბო. წარმოიდგინეთ, აბრეშუმის ჭიას თურმე სამი სამშობლო ჰქონია. აბრეშუმის სამშობლო რომ ჩინეთია, ეს კი ვიცოდი, მაგრამ ინდოეთი და კოლხეთიც თუ იყო, ამაზე აქამდე არაფერი გამეგონა.

აგრონომმა მიამბო, რომ საქართველოში აბრეშუმის ჭიას ძველად ჭინჭაურსა და ყაჭს უწოდებდნენ. იმასაც ფიქრობენო, რომ კოლხეთის აბრეშუმი მდარე ხარისხისა იყო და ვახტანგ გორგასალმა გრენა ამიტომ ჩამოიტანა ინდოეთიდანო. ზოგი მეცნიერი თურმე იმასაც ამბობს, არგონავტები კოლხეთში ყვითელი პარკის საიდუმლოებამ ჩამოიყვანაო.

აჰა, უკვე მოვრჩით საქმეს. ჭიებმაც მოითავეს საზრუნავი: წელში გამოყვანილი პარკები ბღუჯა-ბღუჯა დაყარეს ცახებზე. ჩვენ ცახები ავალაგეთ, გამოკრეფილი პარკები ნაპერტყულებისაგან დავხვეწეთ, მანეულის გოდრები პირთამდე ავავსეთ და ურმით გზას გავუყენეთ. ბებია გახარებული დაბრუნდა: პარკი მაღალი ხარისხისად ჩამითვალესო. ფულიც მოიტანა.

ფული სულ შენ გქონდეს-მეთქი, ვთხოვე ბებიას. რას ამბობო, — მითხრა, პირიან მეაბრეშუმეებში ასე არ ხდებაო, და ნახევარი მე მომცა. ახლა ნამდვილად გამიჩნდა საფიქრალი: რაში მოვიხმარო ამდენი ფული?



# კითხვა? პასუხი

ვპასუხობთ ქ. ფოთის I-საშ. სკოლის მოსწავლე ლელა კახიძისა და თბილისის 24-ე საშ. სკოლის მოსწავლეების ივანე ზედგენიძისა და ირაკლი დემეტრაშვილის შეკითხვებზე.



სემირამიდის კიდული ბაღები

## მსოფლიოს

რა არის „მსოფლიოს შვიდი სასწაული?“ იქნებ რაღაც ლეგენდებსა და ფანტაზიაზეა ლაპარაკი? რაღაც იდუმალსა და გამოუცნობზე, იმაზე, რაც არასოდეს არ ყოფილა? არა! შვიდი საოცრება ნამ-

## შვიდი

დვილად არსებობდა, მაგრამ ყველაფერი ეს მაინც სასწაული იყო. ყველაზე უფრო სასწაულებრივი მათში ის არის, რომ ყოველივე ეს, ადამიანის ხელითა და გონებით არის შექმნილი.

## საოცრება

ძველი დროის დიდოსტატებმა იმდენი დიდებული შედევრი შექმნეს, რომ ადამიანმა ძალიანაც რომ მოინდომოს მათში უმნიშვნელოვანესის არჩევა, საგონებელში ჩავარდება. მაგრამ მაინც არსებობს ერთი, საერთოდ აღიარებული კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც „მსოფლიოს შვიდ საოცრებას“ შემდეგ ქმნილებებს მიაკუთვნებენ: ეგვიპტის პირამიდებს; ბაბილონის დაკიდებულ ბაღებს (სემირამიდის ბაღებს); არტემიდა ეთესელის ტაძარს; ოლიმპიელი ზევსის ქანდაკებას; ჰალიკარნასის მავზოლეუმს; როდოსის კოლოსს; ალექსანდრიის შუქურას;

ეგვიპტის პირამიდები. თითქმის ხუთი ათასი წელია დგას ხუფუს პირამიდა. მისი სიმაღლე 147 მეტრია (ამჟამად მისი მწვერვალი ჩამოქცეულია და 137 მეტრს არ აღემატება), ხოლო თვითეული გვერდის სიგრძე — 233 მეტრი. პირამიდას რომ ირგვლივ შემოვუაროთ, კილომეტრი უნდა გავიაროთ. იგი ორი მილიონ სამასი ათასი უზარმაზარი ლოდისაგან არის აგებული. მშენებლობაში ხსნარი და დუღაბი არ არის გამოყენებული. ქვები ერთმანეთზე საკუთარი სიმძიმით არის დამაგრებული. ძველი ეგვიპტელები პირამიდებს ფარაონების სამარხად აგებდნენ.

ბაბილონის კიდული ბაღები. ბაბილონი ძველი აღმოსავლეთის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი იყო. ჯერ კიდევ ჰეროდოტე, რომელმაც ჩვენს ერამდე საუკუნეში მოიარა ბაბილონი, ამბობდა, ბაბილონის დედაქალაქი უმშვენიერესი და უმდიდრესიაო. უზარმაზარი, მაღალი გალავნით შემოზღუდულ ქალაქში, სასახლის გვერდით, აგებული იყო საოცარი ნაგებობა — დაკიდებული ბაღები. ბაღის საფეხურები იარუსებად ადიოდა მაღლა და ერთმანეთს ფართო კიბეებით უერთდებოდა. იქ აღმართული პალმები და განსაცვიფრებელი მარადმწვანე ხეები სასახლის კედლებს მაღლა სცილდებოდა. ამ ბაღების მოსარწყავად ასობით მონა დღე და ღამ ქაჩავდა წყალს ევფრატიდან.



ოლიმპიელი ზევსის ქანდაკება

არტემიდა ეთესელის ტაძარი. ნადირობის ქალღმერთს არტემიდას მცირე

აზიის მრავალ ქალაქში სცემდნენ თაყვანს. ეთესელებმა არტემიდასათვის დიდებული ტაძრის აგება გადაწყვიტეს და ეს არქიტექტორ ქერსიფონეს დაავალეს. არტემიდას ტაძარს 120 წლის მანძილზე აგებდნენ. მისი მშენებლობა 450 წელს (ჩვენს ერამდე) დამთავრებულა. იგი მრავალჯერ დაინგრა, მრავალჯერ აღადგინეს. ტაძარს გარშემო 127 სვეტი ერტყა. ტაძარი შიგნით და გარეთ გამოჩენილი ბერძენი მოქანდაკეებისა და მხატვრების ნამუშევრებით იყო დამშვენებული.



როდოსის კოლოსი

ოლიმპიელი ზევსის ქანდაკება. ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ოლიმპოში სპორტული შეჯიბრება იმართებოდა. მასში, ბერძნებთან ერთად, მეზობელი ქვეყნების გამოჩენილი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ (ოლიმპიური თამაშები 1896 წელს აღადგინეს). იქ აღმართული დიდებული ტაძრის სიღრმეში იდგა ძველ დროში საქვეყნოდ განთქმული ქმნილება, უდიდესი ბერძენი მოქანდაკის ფიდიასის ნამუშევარი — ზევსის ქანდაკება. ამ კოლოსალური ქანდაკების სიმაღლე (ზევსი სავარძელში იჯდა) 17 მეტრს უდრიდა. იგი ხის, სპილოს ძვლისა და ოქროსაგან იყო გაკეთებული.

ჰალიკარნასის მავზოლეუმი. ჰალიკარნასი — კარის სამეფოს დედაქალაქი — უდიდესი და ულამაზესი ქალაქი იყო. მაგრამ ამ ქალაქის მნახველებს ყველაზე მეტად მაინც მეფე მავსოლის დიდებული სამარხი ხიბლავთ. მავსოლი გარდაიცვალა დაახლოებით 353 წელს ჩვენს ერამდე. ქვეშევრდომთა წარმოუდგენელი ექსპლოატაციის შედეგად მავსოლმა თავი მოუყარა ზღაპრულ სიმდიდრეს და თავისთვის ისეთი ნაგებობა ააგო, რომლის სახელი, აგერ, ჩვენამდეა შემონახული. მავზოლეუმი დიდი, ოთხკუთხა შენობა იყო (სიგანე 66 მეტრი, სიგრძე — 77,



ჰალიკარნასის მავზოლეუმი

სიმაღლე — 46 მეტრი უნდა ჰქონოდა). ფრიზზე გამოსახული იყო ბერძენთა ლეგიონების ბრძოლა ამორძალებთან.

როდოსის კოლოსი. როდოსელებმა იგი თავიანთ მფარველ ღმერთს ჰელიოსს აუგეს. მოქანდაკე ქარესმა ჰელიოსი გამოაქანდაკა სიცოცხლით სავსე ტანსარო ჭაბუკის სახით, რომელსაც თავზე გვირგვინი ედგა. მისი სიმაღლე დაახლოებით 36 მეტრი იყო. კოლოსმა 56 წელს გაძლო... 222 წელს როდოსი ძლიერმა მიწისძვრამ დააზიანა და კოლოსიც მიწასთან გაასწორა.

ალექსანდრიის შუქურა. 332-331 წელს (ჩვენს ერამდე) ალექსანდრე მაკედონელმა დააარსა ელინისტური ეგვიპტის სახელგანთქმული დედაქალაქი ალ-



ალექსანდრიის შუქურა

ექსანდრია. 280 წელს აქ შუქურა ააშენეს. ეს 120 მეტრის სიმაღლის სამსართულიანი კოშკი იყო, კირქვის დიდი ლოდებისაგან აგებული. პირველი სართული ოთხკუთხედი იყო, მეორე სართული კი — რვაწახნაგოვანი. იგი მარმარილოთი იყო მოპირკეთებული. შენობას გუმბათი აგვირგვინებდა. გუმბათზე ზღვის ღმერთის პოსეიდონის შვიდმეტრიანი ქანდაკება იდგა.



ხეოფსის პირამიდა



არტემიდა ეთესელის ტაძარი

„მსოფლიოს შვიდი საოცრება" ხანგრძლივი დროის მანძილზე იქმნებოდა (III ათასწლეულიდან მოყოლებული, ჩვენი წელთაღრიცხვის III საუკუნემდე). ეს პერიოდი დიდია, მნიშვნელოვანია, მასზე უზღვავი რამ არის დაწერილი. ჩვენს ჟურნალს საშუალება არა აქვს დაწვრილებით მოგითხროთ „შვიდი საოცრების" ამბავი, მაგრამ ამ საკითხებით დაინტერესებულ ბავშვებს შეუძლიათ წაიკითხონ ა. ნეიჰარდტისა და ა. შიშოვის წიგნი: „ქვეყნიერების შვიდი საოცრება" (გამომცემლობა „განათლება", 1966 წ.).

ბავშვებო! შეგვეკითხეთ რა გაინტერესებთ. რედაქცია სიამოვნებით გაგცემთ პასუხს თქვენთვის საინტერესო საკითხებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პურის ნატეხი

როდიონ ქორქია

მეტყვიამფრქვეველთა ჯგუფეული ცეცხლის ხაზზე გავიდა. ანდრეიკამ, მეორე ნომერმა, თავისი ადგილი დაიკავა.

ყოჩაღი ბიჭუნა იყო ანდრეიკა. ასეულში ის ყველას უყვარდა. თორმეტი წლისა მოვიდა წითელ არმიაში. ერთ წელიწადში ისე გაიწაფა, რომ შესანიშნავი მსროლელი დადგა. მოეწონა ტყვიამფრქვევი და, თუმცა რთული იყო, კარგად შეისწავლა. ამიტომ ჯგუფეულის მეორე ნომრად დანიშნეს. ასეულში ყველამ იცოდა, რომ მეტყვიამფრქვეველთა ჯგუფეული თავის მოვალეობას ვაჟკაცურად შეასრულებდა. აქ ყველანი ახალგაზრდები იყვნენ.

აი, ახლაც, ბრძოლის მოლოდინში, ანდრეიკა ვაჟკაცურად გრძნობს თავს. ცისფერი თვალებით მ ი ს ჩ ე რ ე ბ ი ა მტრის წინაკიდეს და ელის, როდის გამოჩნდებიან თეთრები. ანდრეიკამ იცის, რომ, როგორც კი გამოჩნდებიან თეთრები, აკაკანდება ტყვიამფრქვევი, შემდეგ დაერევიან ერთმანეთს თეთრები და წითლები ხელჩართულად. და შემოსძახებს ანდრეიკას ასეული:

„ეს არის ჩვენი მედგარი, უკანასკნელი ბრძოლა...“

იმღერებს ანდრეიკაც, რადგან სწამს უკანასკნელი ბრძოლისა, სწამს, რომ ამ ბრძოლის შემდეგ მას ექნება, რისთვისაც იბრძვის: სკოლა და პური...

პურის გახსენებაზე ანდრეიკას გააჟრჟოლა. ჯიბეში ულუფიდან მორჩენილი პურის ნატეხი ედო. პურის ფასი კი იცის ანდრეიკამ. მამამისის ოჯახში, მუშა კაცის ოჯახში, ხშირად არ ჰყოფნიდათ პური. ხშირად შიოდა ანდრეიკას. ამიტომ იყო, რომ ანდრეიკა ყოველთვის პატივისცემით და სიყვარულით ეპყრობოდა პურს. ახლაც განა პურისათვის არ იბრძვის? მაგრამ, რომ მოკლან? ხომ დარჩება ეს პურის ნატეხი? და რომ დამარხავენ ანდრეიკას, პურსაც დამარხავენ... განა ეცოდინება საფლავის გამთხრელს, რომ პური აქვს ჯიბეში?...

ამიტომ ანდრეიკა მიუბრუნდა ჯგუფეულის პირველ ნომერს, პავლო პარანინს, და უთხრა:

— პავლო, ოჰ, პავლო! მე პური მიდევს ჯიბეში... მოდი, შევჭამოთ!

— ხომ არ გაგიჟდი? საცაა თეთრები გამოჩნდებიან! — დაუბღვირა პავლომ.

მაგრამ ანდრეიკას გულმა ვერ მოუსვენა. ამოიღო პურის ნატეხი და მადიანად ჩალუკმა...

მერე? მერე ის იყო, რომ ბრძოლაში ანდრეიკა გადარჩა. მან უკანასკნელი ბრძოლაც განვლო და მაშინაც გადარჩა.

მერე? მერე ანდრეიკამ ის სახელოვანი გზა განვლო, სამოქალაქო ომში გადარჩენილმა ბავშვებმა რომ განვლეს: სწავლა, სწავლა და სწავლა. და ანდრეიკა გენერალი გახდა.

ის ფაშისტებს ებრძოდა სამამულო ომში. შესანიშნავი სარდალი იყო და არმიას ხელმძღვანელობდა. საბჭოთა პურს, საბჭოთა ბავშვებს იცავდა...

ახლაც დიდი სარდალია ანდრეიკა. ახლა ის — ანდრია ტროფიმეს ძე სტუჩენკო, არმიის გენერალია.

და ყოველთვის ახსოვს ძალა პურისა. ახსოვს თავისი ბავშვობის მძიმე და სახელოვანი გზა.



# ახალი წიგნები



## გულთმისნების ქვეყანა

გ. ნატროშვილი

გულთმისნების ქვეყანა! სად არის იგი, ვინ ცხოვრობს იქ? თურმე ეს ქვეყანა არც ისე შორსაა, იგი ჩვენს ირგვლივ არის. ამაზე გვიამბობს ცნობილი ქართველი მწერალი გიორგი ნატროშვილი თავის მოთხრობებში. ეს ნაწარმოებები სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული იყო ქართული საბავშვო ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე.

ახლა „ნაკადული" ცალკე წიგნად აწვდის მკითხველს ამ მოთხრობათა კრებულს.

## სულით ძლიერნი

დ. მედვედევი

ამ წიგნში არაფერია გამოგონილი. ბევრი რამ, რაც აქ არის მოთხრობილი, თვითონ ავტორმა ნახა, ბევრი კი პარტიზანული რაზმის ყოფილმა მეთაურებმა და მებრძოლებმა, როვნოს არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაციის მონაწილეებმა უამბეს.

„სულით ძლიერნი" გმირ, მამაც ადამიანებზე დაწერილი წიგნია. ამ წიგნით გაიცნობთ ნიკოლოზ კუზნეცოვს — სამშობლოსათვის თავდადებულ, შეუპოვარ ადამიანს.

ამ წიგნში („სულით ძლიერნი") კუზნეცოვის შეუდრეკელ თანამებრძოლთა საგმირო საქმეებიც არის მოთხრობილი.

## ყირიმი 1941-1942

ვ. სიხარულიძე

ყირიმის ბრძოლების მონაწილის ვ. სიხარულიძის წიგნი „ყირიმი 1941-1942", მოგვითხრობს სამამულო ომის პირველ პერიოდში საბჭოთა ჯარების მძიმე ბრძოლებზე, სევასტოპოლის გმირულ დაცვაზე, ქერჩ-ფეოდოსიის დიდ საზღვაო სადესანტო ოპერაციებზე.

ქარიშხალსა და ყინვაში შავი ზღვის სამხედრო საზღვაო ფლოტმა და აზოვის სამხედრო ფლოტილიამ გერმანელი ფაშისტებისათვის მოულოდნელად ქერჩის ნახევარკუნძულზე გადასხა ამიერკავკასიის ფრონტის ჯარები, რომლებმაც ჯერ ხელთ იგდეს პლაცდარმები, შემდეგ განავითარეს შეტევითი ოპერაციები და გერმანელი ოკუპანტებისაგან გაათავისუფლეს ქერჩის ნახევარკუნძული. ამ ბრძოლებში ბევრმა ქართველმა ისახელა თავი. ყირიმის ბრძოლების მონაწილე ათასობით ჩვენი თანამემამულე დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

## ალიონის ვარსკვლავები

ლ. მეგრელიძე

არიან მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც ქვეყნისთვის დიდ საქმეს აკეთებენ, მაგრამ თავიანთ ღვაწლზე არაფერს ამბობენ, არ გაჰყვირიან. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის ამ წიგნის ავტორი ლიდია მეგრელიძე.

მისი ქრონიკები „მშობლიური ცის ქვეშ" დაწერილია მღელვარებით, მასალის ცოდნით, ხალხის გმირების სიყვარულით. გულწრფელობა, დინამიურობაში მოცემული ცოცხლად დახატული სურათები, ამ ქრონიკებს ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოების ღირსებით მოსავს და საინტერესო საკითხავ და საჭირო წიგნად ხდის.

დარწმუნებული ვართ, ყველა თქვენთაგანი სიამოვნებით წაიკითხავს ღვაწლმოსილი მწერლისა და მოღვაწის ამ წიგნს.

## ორი კაპიტანი

ბ. კავერინი

ბენიამინ კავერინის რომანი „ორი კაპიტანი" დიდი ხანია ქართულად ითარგმნა და გამოიცა. ქართველმა ბავშვებმა შეიყვარეს ამ რომანის მამაცი, სულით ძლიერი გმირები, სანია გრიგორიევის ხიფათიანი თავგადასავალი, მისი სასახელო საქმეები.

გამომცემლობა „ნაკადულმა" წელს „სათავგადასავლო ბიბლიოთეკის" სერიით, „ორი კაპიტანი" ხელახლა გამოსცა. იგი ქართულად ნინო ქუჩუკაშვილმა თარგმნა. ვისაც არ წაგიკითხავთ ეს რომანი, გირჩევთ წაიკითხოთ.

## ყანებს ყაყაჩო შვენოდა

კ. კობერიძე

ცოცხალი, ხატოვანი ენა, მომხიბლავი იუმორი, მოზარდი ადამიანის ფიქრების, ოცნებების უტყუარი ცოდნა კარლო კობერიძის საბავშვო მოთხრობებს მკითხველისათვის თავიდანვე მიმზიდველსა და დასამახსოვრებელს ხდის.

კ. კობერიძის მოთხრობათა გმირები სიცოცხლით სავსე, კეთილი, თავისებურად რთული ბუნების ყმაწვილები არიან. მწერალი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით ხატავს ამ გმირების შინაგან სამყაროს, რამდენიმე ფერადი შტრიხით აცოცხლებს და ნათლად წარმოგვიდგენს მოთხრობის თვითეულ პერსონაჟს.











# ჰერბარიუმი

ბუნებაში მრავლად არის ლამაზი და მეტად საჭირო და სასარგებლო მცენარე. არის სამკურნალო მცენარეები. მცენარე ექიმებსა და ქიმიკოსებსაც ესაჭიროებათ და საკონდიტრო საქმეში, ტყავის მრეწველობაში და მებოსტნეობაშიც ხმარობენ. ზოგიერთ მცენარეს მადნის ძიებაში იყენებენ. არის მცენარეები — კომპასები, საათები და ბარომეტრები.

ყველა ამ მცენარის შესახებ შენ ძალიან ბევრი საინტერესო რამის გაგება შეგიძლია, ოღონდ, ცხადია, — ერთბაშად არა. ამისათვის დიდი დროის დახარჯვაა საჭირო. მაგრამ შენ თვითონვე დარწმუნდები, რომ ეს ფუჭად დაკარგული დრო არ იქნება. უეჭველია, დაგებადება აზრი შეაგროვო მცენარეთა კოლექცია — ჰერბარიუმი. რა სასიამოვნოა ეს კოლექცია ზამთარში უჩვენო შენს თანატოლებს, ესაუბრო მათ რომელიმე საოცარ მცენარეზე. ამას გარდა, თვით ჰერბარიუმის შედგენის პროცესი თავისთავად მეტად საინტერესოა.

იმათ, ვინც მცენარეთა კოლექციის შეგროვებას გადაწყვეტს, ამთავითვე ვაფრთხილებთ: ჯერ ერთი, ჰერბარიუმს ერთი ან ორი დღე როდი აგროვებენ, ამისათვის ხშირად თვეებია საჭირო. მეორე — მცენარეები სხვადასხვა ადგილზე უნდა შეაგროვო.

ყურადღებით დააკვირდი რომელიმე მდელოს. შენ იქ ათასგვარ ყვავილსა და ბალახს ნახავ. ხოლო თუ ამავე მდელოზე რამდენიმე ხნის მერე მიხვალ, ბევრ, ადრე ნანახ ყვავილს ვეღარ ნახავ, სამაგიეროდ, ახლები დაგხვდება. ასე განსაჯე, ბალახიც კი შეცვლილი იქნება. მდელოზე სხვა მცენარეებს შეხვდები, ველზე — სხვას, მდინარის ნაპირზე კი სულ ახალი მცენარეები ხარობს. მაშასადამე, ორი მომენტია მნიშვნელოვანი: ადგილი და დრო. ჰერბარიუმის შემგროვებელთათვის არსებობს აუცილებელი წესები, სახელდობრ: ზუსტად უნდა ჩაიწერო, სად და როდის იპოვნე მცენარე. მცენარე ძალიან ფრთხილად და დაუზიანებლად უნდა მოსწყვიტო, შინ უნდა მოიტანო და მაშინვე, ვიდრე მცენარე დაჭკნებოდეს, ქაღალდის ორ მაგარ ფურცელს შუა უნდა მოათავსო, ზემოდან რაიმე სიმძიმე უნდა დაადო. რამდენიმე ხანში მცენარე გახმება, ისე, რომ ფორმას არ დაჰკარგავს, ზოგიერთი კი, ამ შემთხვევაში, — ფერსაც ინარჩუნებს. გამხმარი მცენარე ძალიან ნაზია და განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეპყრა. ამის შემდეგ უკვე შეგიძლია გამხმარი მცენარეები მაგარი ქაღალდის ფურცლებზე დაამაგრო და წარწერები გაუკეთო, ე. ი. ჰერბარიუმი მოაწყო.

მორჩა, — ჰერბარიუმი მზად არის! მაგრამ რის შეგროვება სჯობს — ყვავილებისა თუ ხის ფოთლებისა? ეს იმაზეა დამოკიდებული, რა მიზანს ისახავ, როცა ჰერბარიუმის შედგენას გადასწყვეტ. დაგვეთანხმები, რომ არ ღირს ჰერბარიუმი, ისე, უბრალოდ, უმიზნოდ შეადგინო. კოლექციას რაიმე ღირებულება რომ ჰქონდეს, აუცილებელია ჰერბარიუმის თემის შერჩევა. მაგალითად, შეიძლება შეაგროვო სამკურნალო მცენარეების ანდა ხის ფოთლების კოლექცია, ანდა იქნებ გარკვეული ადგილის — ტყის ან მინდვრის მცენარეების კოლექციის შედგენა სჯობდეს! ამის არჩევანი შენთვის მოგვინდვია.

# მწერების კოლექცია

თქვენს შორის, ალბათ, ბევრს იტაცებს მწერების კოლექციონირება. ეს მეტად თავშესაქცევი საქმეა — ნამდვილი ძიება, ნადირობა.




კოლექციისათვის შეიძლება სასარგებლო მწერებიც შეაგროვო და მავნე მწერებიც. ამასთან, სასარგებლო მწერებს ფრთხილად უნდა მოეპყრათ — იმაზე მეტი არ უნდა დაიჭიროთ, რაც კოლექციისათვის გვჭირდება.

პირველ ხანებში კოლექციონერს გაუჭირდება მწერების გარჩევა. მაგრამ მას წიგნები დაეხმარება. წიგნები, ისევე, როგორც პეპელსაჭერი ბადე, მწერის



გამგუდავი ქილა და გამასწორებელი მწერებზე მონადირის აუცილებელი იარაღებია.

პეპელსაჭერი ბადე რაც არის, ყველა თქვენგანმა კარგად იცის, მაგრამ მწერის გამგუდავი ქილა და გამასწორებელი ცოტას გეცოდინებათ.

გამგუდავ ქილად ყველაზე მოსახერხებელია ნახევარკილოგრამიანი მინის ქილა, რომელსაც თავი მჭიდროდ ეხურება. ამ სახურავის შიგნითა მხარეს ცოტა ბამბა მიამაგრე, ქილის ძირზე დაჭრილი ქაღალდი ან ბალახი დააწყე და




მწერის გამგუდავიც მზად იქნება! დაჭერილი მწერები ქილაში ჩასვი, სახურავზე მიმაგრებულ ბამბას ეთერი წააცხე და ქილა მჭიდროდ დახურე. რამდენიმე ხანში მწერი კვდება. გამოცდილი კოლექციონერები მწერებს დაჭერისთანავე ჰკლავენ, რომ ცოცხალმა მწერმა თავი არ დაიზიანოს. ხოჭოებს შეუძლიათ ულვაში მოიგლიჯონ ან ფეხები მოიტეხონ. პეპლებს შეუძლიათ ფრთებიდან ჩამოიბერტყონ მტვერი.

გამგუდავით სარგებლობისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეთერი ძალიან ადვილად ორთქლდება და ალდება. ამიტომ ყოველმხრივ უნდა ვარიდოთ ცეცხლს.

ამას გარდა, ქილაში ერთდროულად მხოლოდ ერთი დიდი ანდა სამი-ოთხი პატარა მწერის ჩასმა შეიძლება.

აი მოხვედი შინ, ამოიღე ქილიდან მკვდარი მწერები. ისინი ჯერ კიდევ რბილებია, ადვილად შეიძლება მათი გასწორება და საკოლექციოდ მომზადება. აი, სწორედ ახლაა საჭირო გამასწორებელი. ამის გაკეთება ყველა თქვენგანს ადვილად შეუძლია (დახედე ნახაზს).

პეპელა ან კალია გამასწორებელში ისე უნდა მოათავსო, რომ ტანი ღარში მოხვდეს, ფრთები კი — დაფებზე. ფრთებს რომ საჭირო ფორმა მიეცეს, ირგვლივ ქინძისთავებით უნდა დაამაგრო. (დახედე ნახატს). თვითონ მწერიც ქინძისთავით უნდა ჩამაგრდეს ღარში. ქინძისთავი თავისა და ტანის საზღვარზე უნდა ჩაურჭო.

რამდენიმე ხნის შემდეგ მწერი საჭირო ფორმას მიიღებს და შეიძლება მისი კოლექციაში მოთავსება.

შესაძლოა მწერი ამ საშუალებით ვერ გაასწორო. მაშინ პატარა კოლოფში ბამბა უნდა ჩააფინო და მწერი კარგა ხანს შეინახო. ამასობაში იგი, ცხადია, ძალიან გახმება და სულ ოდნავი შეხებითაც კი აიშლება. ასეთ შემთხვევაში ასე უნდა მოიქცე: აიღე ლამბაქი, დაყარე ზედ სველი ნახერხი ან ქვიშა, დააფარე საშრობი ქაღალდი, მასზე გამხმარი მწერები მოათავსე და ყველაფერ ამას ზემოდან მეორე ლამბაქი გადააფარე. რამდენიმე ხანში მწერი სანთელივით მოქნილი გახდება და გამასწორებელში ადვილად შეგიძლია მიაღებინო სასურველი ფორმა.

ახლა მწერები მზად არის. და თუ ყუთიც მზად გაქვს (ყუთი ცალმხარეს შემინული უნდა იყოს), შეგიძლია დაიწყო კოლექციის კეთება.

მწერების კოლექცია, ისევე, როგორც ჰერბარიუმი, თემატიური უნდა იყოს. მაგალითად: ტყის ან ბაღის მავნებლები; სასარგებლო მწერები; მწერები, რომლებიც წყალში ცხოვრობენ და სხვ. მაგრამ გახსოვდეს აუცილებელი პირობა — კოლექცია ყოველგვარ ღირებულებას ჰკარგავს, თუ ყოველ მწერს არ ექნება წარწერა, სადაც მოხსენიებული იქნება მწერის სახელი და სად და როდის არის დაჭერილი.

პეპლების, კალიების და სხვა მათი მსგავსი მწერების გამასწორებელი ხელსაწყო: ა — ქვესადგარი, რომლის ღარში ეკრობა კორპის ან ტორფის ვიწრო (ბ) ფირფიტები. დ — გამასწორებლის საყრდენები. გ — რბილი ხის ჯიშის დაფები.

1. პეპლის გასწორების ცალკეული მომენტები ქაღალდის ვიწრო ზოლების დახმარებით.

2. ქაღალდის ვიწრო ზოლებით საბოლოოდ გასწორებული პეპელა.

8. პეპლის გასწორება კალკის დახმარებით.

4. სხვადასხვა მწერების ქინძისთავებით დამაგრების წესი. წერტილებით აღნიშნულია დამაგრების ადგილები.





## გოლიათი ტელესკოპი

ლენინგრადში ჰქმნიან უზარმაზარ ტელესკოპს. მისი მთლიანი სიგრძე 42 მეტრია, საჰვრეტი მილის სიგრძე 16 მეტრს უდრის. გოლიათი ტელესკოპის წონა 850 ტონამდე აღწევს.

კონსტრუქტორების გამოანგარიშებით, ეს ტელესკოპი სუსტ შუქს 25 ათასი კილომეტრის სიშორეზე დაიჭერს.

გიგანტურ ტელესკოპს მრავალი ხელსაწყო აქვს ფოტოგადაღებებისა და სპექტროგრაფული დაკვირვებებისათვის.

## სასწავლო წელი — პირველი აპრილიდან

იაპონიაში სასწავლო წელი პირველი აპრილიდან იწყება. ამ დღეს ექვსი წლის გოგონები და ბიჭები პირველად იღებენ ხელში ჩანთებს და უფროს მოსწავლეებთან ერთად სკოლაში მიეშურებიან.

იაპონურ სკოლაში სწავლა ადვილი როდია. ბავშვებმა ჯერ კიდევ დაწყებით კლასებში 1000 იეროგლიფი და თითო სამოცდაათასოიანი ორი ანბანი უნდა ისწავლონ.

## მანქანა „კითხულობს" მისამართებს

ინგლისში სცდიან მანქანას, რომელმაც წერილები მისამართის მიხედვით უნდა დაახარისხოს. კონსტრუქტორები ცდილობდნენ მიეღწიათ იმისათვის, რომ ამ მანქანას სწრაფად და ზუსტად „წაეკითხა", როგორც მანქანით ნაბეჭდი, ისე ხელით ნაწერი მისამართებიც.

## იოგები ზღვის სიღრმეში

იაპონიაში მცხოვრებმა, ეროვნებით ფრანგმა, ჟაკ მეილმა ინდოელი იოგებისაგან ისწავლა, თუ როგორ შეიძლება წყალქვეშ უსუნთქებლად დიდხანს გაჩერება (იოგები ჰქვიათ ინდური რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრების მიმდევრებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თვითჭვრეტისა და თვითგვემის გზით შეიძლება ზებუნებრივ ძალებთან, ღვთაებასთან შეერთება). ამას წინათ მეილი ზღვაში 66 მეტრზე ჩავიდა და წყალქვეშ 4 წუთი და 2 წამი დაჰყო.

## გონიერი ცხოველი

ბევრი ცდა არის ჩატარებული იმის გამოსარკვევად, თუ რა დონეზეა ამა თუ იმ ცხოველის გონება. აღმოჩნდა, რომ ღორთან შედარებით ძროხა მეტისმეტად გონებაჩლუნგი არსებაა და, რომ ღორს გონიერების მიხედვით მხოლოდ რამდენიმე ცხოველი უსწრებს წინ. ესენი არიან: ადამიანისმსგავსი მაიმუნი, ძაღლი, კატა, ენოტი, სპილო და ცხენი. რაც შეეხება ჯორს, თხასა და ცხვარს ისინი ჩვეულებრივი ღორის უკან, სადღაც შორს მოჩანჩალებენ.

ღორს, ჩვეულებრივ, ერთ წლამდე ასაკისას ჰკლავენ, ამ ასაკში კი იგი ვერ ასწრებს მთელი თავისი „ნიჭის" გამომჟღავნებას.

ღორები სწრაფად სწავლობენ იმ კარის გაღებას, სადაც საჭმელი ეგულებათ, თვითონვე ადგენენ რაციონს და სხვადასხვა საკვების მხოლოდ აუცილებელ რაოდენობას სჭამენ. ძროხები და ცხენები კი ჯერ ერთ საკვებს სჭამენ მანამ, სანამ სულ არ გაათავებენ, და მერეღა გადადიან მეორე საკვებზე.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ღორი შინაურ ცხოველებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ფაქიზი არსებაა. მის „ღორობაში" პატრონის სიზარმაცესა და უვიცობას მიუძღვის ბრალი. თუ ღორს სუფთა სადგომით, სუფთა წყლითა და სუფთა საკვებით უზრუნველვყოფთ, იგი ისეთივე პეწენიკი გახდება, როგორიც არის, მაგალითად, კატა. ღორი არასოდეს არ გასვრის თავის საგებს. გარეული ინდური ღორები ბალახის სუფთა



„ქოხებსაც" კი იშენებენ, რომელსაც ორფერდა სახურავი და გვერდითი კარი აქვს.

მაგრამ ღორს ტალახიან გუბეში რომ უყვარს წოლა?

ამას იგი იმიტომ აკეთებს, რომ სიცხის დროს გაგრილდეს. ღორს საოფლე ჯირკვლები არა აქვს, არც ხშირი ჯაგარი უფა-



## ფეხბურთის ბოლო მატჩი

მასწავლებელი კლასში შევიდა და მოსწავლეებს მიმართა:

— დაწერეთ თქვენი შთაბეჭდილება ფეხბურთის ბოლო მატჩის შესახებ.

მოსწავლეები წერას შეუდგნენ. უცბად ერთმა მოსწავლემ ხელი ასწია.

— რა გინდა, ტომ? — ჰკითხა მასწავლებელმა.

— მე უკვე დავწერე.

— აბა, მომიტანე რვეული!

ტომმა მიუტანა.

მასწავლებელმა გადაშალა და წაიკითხა:

„წვიმდა, თამაში არ შედგა".

## ტომი და მისი ამხანაგი

ამხანაგი — ტომ, განა ისე ცუდად ვუპასუხე მასწავლებელს, რომ ერთიანი დამიწერა?

ტომი — ერთიანი არ გეკუთვნის, მაგრამ ერთიანზე ნაკლები ნიშანი რომ არ არსებობს?

რავს ტანს, რათა ზაფხულის ხვატისა და ბუზებისაგან თავი დაიცვას.

ღორი დამოუკიდებელი ხასიათის ცხოველია. ადამიანს მხოლოდ საკვების გულისათვის ემორჩილება. ღორის საზრიანობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ წყალდიდობის დროს იგი ხეზე ადის და იქ მანამდე რჩება, სანამ წყალი არ დაიკლებს.

## ქინაქინის თავგადასავალი

ქინაქინა რომ ციების უებარი სამკურნალო საშუალებაა, ეს ახლა ყველას მოეხსენება, მაგრამ ბევრმა ალბათ არ იცის, როგორ აღმოაჩინეს ეს წამალი.

ქინაქინა სრულიად შემთხვევით აღმოაჩინეს. ევროპელმა ექიმებმა, რომლებიც ამერიკას ეცნობოდნენ, შეიტყეს, რომ ჩვეულებრივმა ინდიელმა მკურნალმა ტროპიკული ციებისაგან სულ ადვილად მოარჩინა პერუს მეფის ხინხონის ცოლი. ექიმები დაინტერესდნენ, რით უწამლა ინდიელმა დედოფალს. აღმოჩნდა, რომ მკურნალი ავადმყოფს ქინაქინის ხის ქერქს აჭმევდა. ეს ლამაზი ხე იმ დროს მხოლოდ სამხრეთ აფრიკის ანდებში ხარობდა.

სულ მალე, ძვირფასი ქერქის მოსაპოვებლად, ევროპიდან პერუსაკენ სამეცნიერო ექსპედიციები დაიძრნენ. მართლაც, მეცნიერებმა ქინაქინის ხის ქერქში ციებისაგან განმკურნველი ნივთიერება აღმოაჩინეს.

ევროპელები უზოდიშოდ ჩკაფავდნენ ტყეებს კორდილიერებსა და ანდებში და ქინაქინის ხის ქერქს თავიანთ ქვეყნებში ეზიდებოდნენ. უფრო გვიან, მათ ამ მცენარის თესლი წამოიღეს და დედამიწის სხვადასხვა კუთხეში ქინაქინის ხის გახარება დაიწყეს.

ამჟამად ქინაქინით მთელ მსოფლიოს კუნძული იავა ამარაგებს, საიდანაც ყოველწლიურად რამდენიმე ათასი ტონა ქინაქინის ხის ქერქი გადის სხვადასხვა ქვეყანაში.

## საინტერესო ტბა

ინდოეთში ერთი საინტერესო ტბაა. იგი რვა თვის განმავლობაში მლაშეა, ოთხი თვე კი — მტკნარი. ტბის ზედაპირი 160 კვადრატული კილომეტრია. რვათვიანი სასტიკი გვალვის პერიოდში ტბიდან 200 ათასი ტონა ნატრიუმ-ქლორი ამოაქვთ, რომლისგანაც სუფრის მარილს იღებენ. მთელ ცენტრალურ ინდოეთს ამ მარილით ამარაგებენ. ივნისიდან სექტემბრამდე, როცა აქ გამუდმებული კოკისპირული წვიმებია, ტბა მტკნარი ხდება.

## ერთი წყვილის შთამომავალნი

კუნძულ ნიუ-ფაუნდლენდზე გახშირდა ავტომანქანებისა და ცხენ-ირმების დაჯახება. მარტო 1966 წელს 80 უბედური შემთხვევა მოხდა. ამ პატარა კუნძულზე ამჟამად 15 000 ცხენ-ირემია, ეს იმ დროს, როცა XIX საუკუნეში აქ ერთი ცხენ-ირემიც კი არ იყო.



1902 წელს ნიუ-ფაუნდლენდზე ერთი წყვილი ცხენ-ირემი ჩაიყვანეს და ეს თხუთმეტი ათასი ცხენ-ირემი სულ მათი შთამომავლობაა.

## ფოსტაში

გოგონამ ფოსტაში წერილი აწონა და მისტერ სმიტს უთხრა:

— თქვენი წერილი მძიმეა, ამიტომ კიდევ უნდა დააკრათ მარკა.

— უფრო დავამძიმო?!

## მასწავლებელი და მოსწავლე

მასწავლებელი — წაგიკითხავს შექსპირის რომელიმე პიესა?

მოსწავლე — როგორ არა, ორი პიესა წავიკითხე.

მასწავლებელი — რომლები?

მოსწავლე — „რომეო" და „ჯულიეტა".

## დედა და შვილი

დედა — რად დაიგვიანე, ჯეკ?

ჯეკი — მასწავლებელმა გაკვეთილების შემდეგ კლასში დამტოვა.

დედა — რატომ?

ჯეკი — იმიტომ; რომ ერთი რამ არ ვიცოდი.

დედა — რა არ იცოდი?..

ჯეკი — რა და... გაკვეთილი...

ინგლისურიდან თარგმნა
მანანა სიდამონიძემ.

# ვაზის სიცოცხლე



ვაზის გაშენების ორი ძირითადი წესი არსებობს: ერთი — როცა, ვაზის საყრდენი ჭიგოა, მეორე — როცა ხეზე არის გაშვებული. პირველს „დაბლარს" უწოდებენ, მეორეს — „მაღლარს". დაბლარი ვაზი 50-80 წელს ცოცხლობს, მაღლარი კი — გაცილებით მეტ ხანდაზმულობას აღწევს. აი, რამდენიმე ამის მაგალითი:

ფსკოვში მე-19 საუკუნის 60-იან წლებამდე ხარობდა პეტრე პირველის ხელით დარგული ვაზი, რომელმაც 150 წელი იცოცხლა. ლონდონის ახლოს მდებარე ჰამპერონკერტის პარკის სათბურში თითქმის ორი საუკუნე გასძლო ბლეკ ჰამბურგის ჯიშის ვაზმა. ამ ვაზს 200 კვადრატული მეტრი ფართობი ეკავა და ყოველწლიურად ერთ ტონამდე ყურძნის მოსავალს იძლეოდა. მისი შტოების დიამეტრი 76 სანტიმეტრს უდრიდა.

ევპატორიის ძველ მკვიდრთ ახსოვთ შავი, ყირიმული ჯიშის უზარმაზარი ვაზი. მისი ფესვები ძველი სახლის საძირკველში იყო ჩაზრდილი, ტოტები კი კედლებს მიჰყვებოდა და სახურავზე გადადიოდა. ყირიმისთვის უჩვეულო ერთ ცივ ზამთარს ეს ვაზი გახმა. მაშინ იგი 200 წლისა იყო.

კალიფორნიაში 170 წლის ვაზის ბუჩქი ხარობს, მის ტოტებს 60 ბოძი ამაგრებს. ამ ვაზის ბუჩქზე წელიწადში 100 ცენტნერი ყურძენი მწიფდება.

სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბეში, 73 წლის კოლმეურნე ლადო აბულაშვილის ეზოში, ახლაც ნახავთ ნაწილობრივ დაფუტუროებულ 135 წლის ვაზს. მიწის პირთან მისი ძირის გარშემოწერილობა 117 სანტიმეტრია. ამ სამიოთხი ათეული წლის წინათ ამ ვაზის თალარის სიგრძე 200 მეტრი ყოფილა. თალარქვეშ კი თურმე სამასი კაცის სუფრა იშლებოდა. 1950 წლამდე ამ ვაზზე 10-12 გოდორი ყურძენი იკრიფებოდა (იქაურ გოდორში 150 კილოგრამამდე ყურძენი ჩადიოდა).

გ. დათუაშვილი.



ტრანზისტორულ მიმღებს — „სელას“ თუ ხმა დაუვარდა, შესაკეთებლად მაინცდამაინც ხელოსანთან ნუ გაიქცევით, მიმღები ცენტრალური გათბობის ან გაზსადენის ვერტიკალურ მილთან ახლოს მოათავსეთ. მილი ანტენის როლს შეასრულებს და იგი კვლავ „გამოცოცხლდება“, ხმას მოუმატებს. თუ მილი ცხელია, ნურც ეს შეგაშინებთ, ადექით და მილსა და მიმღებს შორის თბოიზოლატორი — ჟურნალი ან ოთხად გაკეცილი გაზეთი ჩადეთ.

კბილის საწმენდი პასტის ტუბი რომ დაიცლება, ნუ იჩქარებთ და სანაგვე ყუთში ნუ გადააგდებთ. მას, ყოჩაღი და გონიერი ბიჭის ხელში, შეუძლია კიდევ გაუწიოს ადამიანს სამსახური. საქმე ის არის, რომ იგი ძალზე მოსახერხებელია ტექნიკური საპოხის, საღებავის, საკანცელარიო წებოს და მისთანათა შესანახავად. ამისათვის ტუბი კარგად უნდა გამართოთ, გაასუფთაოთ, თავსაცობი მოხსნათ და სითხით შეავსოთ. შემდეგ ფსკერი გულმოდგინედ ჩაუკეცეთ და, მორჩა, იგი კიდევ დიდხანს მოგემსახურებათ.



თუ სათვალეს პატარა ხრახნი ამოუვარდა, მისი შეკეთება შინვე შეიძლება. აი, როგორ: ნახვრეტში, ხრახნის ნაცვლად, კაპრონის მკედი ჩაარჭვე (ანკესისათვის რომ ხმარობ), თავი და ბოლო ასანთით მოუწვი და სათვალის საქმე გაჩარხული იქნება.







პატარა ჭკუამახვილობით და ხუთწუთიანი შრომით, შეიძლება ისე ასიამოვნო დიასახლისს, რომ დიდხანს იქნეს შენი მადლობელი.

სულ რამდენიმე წუთია საჭირო იმისათვის, რომ საყოველთაოდ გავრცელებული პოლიეთილენის ფლაკონი შესანიშნავ სასხურებელ ხელსაწყოდ გადაიქცეს უთოობისას. არ გეგონოს ბევრი რაიმე იყოს საჭირო. არა! გახურებული ნემსით საცობს ძაბრის მსგავსი ნახვრეტები გაუკეთე და სასხურებელიც მზად იქნება. ოღონდ, ფლაკონი წყლით ყელამდე არ გაავსო.



# სარჩევი


ი. გამრეკელი — სოლიდარობა, მეგობრობა, მშვიდობა (წერილი) 1
ე. სახვაძე — ვიეტნამელ თანატოლებს (ნარკვევი) . 2
ზ. თეთვაძე — კომკავშირი სოციალიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში (წერილი) . . . . . 5
ა. ონელი — სოკოობა; ვარდობისთვეში დამაბარა; გაზაფხულის წვიმა. (ლექსები) . . . . 8
ოქროს საწმისი . . 9
ძ. ტაბატაძე — გულთაზი, მოდელი და მეგობრები (მოთხრობა, დასასრული) . 10
ნ. ალადაშვილი — საბჭოთა ქანდაკება (წერილი) . . . . . . 16
ლ. გვაზავა-სანაძე — ჩემი არდადეგები (მოთხრობა) 20
კითხვა-პასუხი . . 24
რ. ძორძია — პურის ნატეხი (მოთხრობა) . . 26
ახალი წიგნები . 27
დამწყები კოლექციონერის დასახმარებლად . . . 29
ჯადოსნური სარკე 30
უცხოური იუმორი 30
ბუნების კარი . . 31
გამოგადგები . . 32
თავშესაქცევი გარეკანის . . . . . . . 8



გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის ზურაბ მეძმარიაშვილს.



მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.
სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.).



ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები: რედაქტორის—95-17-76
პ/მგ. მდივნისა და განყოფილებების—95-07-43



„ПИОНЕРИ“. На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
საქ. კპ ცკის გამომცემლობა უე 00742 ტირ. 87.750. პირ. ფორ. რაოდ. $4^1/_2$, ფიზ. ფორ. რაოდ. 2.
ხელმოწერ. დასაბ. 10/VI-68 წ. სტამბის შეკვ. 2068.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ფასი 20 კაპიკი
თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## კ რ ო ს ვ ო რ დ ი



**ვერტიკალურად:** 1. კურორტი საქართველოში; 2. უბანი ძველ თბილისში; 3. უფერული ან მოყვითალო ზეთოვანი სითხე; 4. აფრიკის ერთ-ერთი უდაბნო; 5. საქართველოს ერთ-ერთი რაიონული ცენტრი; 7. დროის დიდი მონაკვეთი; 8. მჭედლის ხელსაწყო; 9. გასაშლელ-დასაკეცი სანიავებელი; 11. თასი ანუ?; 18. ადგილი შავი ზღვის სანაპიროზე, საქართველოში; 19. რიცხვი; 20. პატარა ტყე მინდორში ან მდინარის პირას; 23. საქართველოს ერთ-ერთი რაიონული ცენტრი; 24. ხილი; 25. მინერალური წყალი; 26. „ხევისბერი გოჩას“ პერსონაჟი; 28. სისხლის ძარღვი; 30. რაიმე ტერიტორიის ნაწილი, გამოყოფილი გარკვეული პირობების კვალად; 32. ქალაქი შვეიცარიაში; 33. სოფელი იმერეთში; 34. განვითარების საფეხურის პერიოდი; 35. გეოლოგიური პერიოდის მონაკვეთი; 36. სპორტის სახეობა.

**ჰორიზონტალურად:** 6. სახელმწიფოს ძირითადი კანონი; 10. მუსულმანურ ქვეყანაში უფროსის ან სასულიერო პირის მოადგილე; 12. მწუხრი ანუ?; 13. დაშლა ანუ? 14. გ ე რ მ ა ნ ი ი ს ერთ-ერთი პროვინცია; 17. სვლა, მოძრაობა ანუ?; 21. ჭაობიან ადგილებში გავრცელებული მრავალწლიანი მცენარე; 22. კუთხური მეტყველება, დიალექტი; 27. ძაღლის ჯიში; 29. მდინარე კახეთში; 31. მდინარე აფრიკაში; 36. აფრიკის კონტინენტზე მდებარე სახელმწიფო; 37. რაიმე გამოსახულების ხელახლა გადაღება.

## ? თავშესაქცევი

### იცი თუ არა შენ?




1. სამამულო ომის დამთავრებისას რომელ მდინარეზე შეხვდნენ საბჭოთა ჯარები მოკავშირეთა ჯარებს? 2. მსოფლიო ახალგაზრდობის მერამდენე ფესტივალი ჩატარდა გერმანიაში, რომელ წელს და რომელ ქალაქში? 3. გერმანული ფულის ერთეული; 4. არქიტექტურული ძეგლებით განთქმული ქალაქი გერმანიაში; 5. რომელი ცნობილი გერმანელი კომპოზიტორი იყო ყრუ?

* * *




1. ბულგარეთის ძველი დედაქალაქი; 2. რომელ წელს შეიქმნა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა? 3. ბულგარული ფულის ერთეული; 4. რომელი მდინარე გადის ბულგარეთისა და უნგრეთის საზღვარზე? 5. ცნობილი მთა ბულგარეთში; 6. ბულგარეთის ცნობილი კურორტი შავი ზღვის პირას.

ჯ. ჩუბინიძე.

### აბა სცადეთ!



ამ ფიგურის წრეებში ჩასვით რიცხვები 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12 ისე, რომ თვითეული სწორკუთხედის წვეროებში ჩასმული რიცხვების ჯამი 26-ს უდრიდეს, ხოლო გარეთა სწორკუთხედის დიაგონალებზე მოთავსებული რიცხვების ჯამი ერთიდაიგივე იყოს.

### პასუხები № 6-ში მოთავსებულ თავშესაქცევზე

#### კროსვორდი

1. დაირა; 2. ტანკი; 3. ჩადრი; 4. არალი; 5. ურიკა; 6. ობობა; 7. ობოლი; 8. გრილი; 9. ირიბი; 10. წყალი; 11. აყალო; 12. ანაგა; 13. ანწლი; 14. უნარი; 15. ონეგა; 16. კადრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ი. შადრი. ქვა — პროლეტარიატის იარაღი.



გ. იოკუბონისი ფაშიზმის მსხვერპლთა ძეგლი.



ს. კონენკოვი. ფ. დოსტოევსკის პორტრეტი.

ИНДЕКС 76157